



## საქართველოს მთავრობის დადგენილება

N 533 2017 წლის 7 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017 – 2021-ის“ დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „რ“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და „საჯარო მმართველობის განხორციელების სტრატეგიული დოკუმენტების – „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020-ისა“ და „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2015-2017-ის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 აგვისტოს №427 დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2015-2017-ის“ გათვალისწინებით, დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017 – 2021“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი  
სტრატეგია 2017-2021

## სარჩევი

სარჩევი	2
1. <u>შესავალი</u>	3
2. <u>არსებული ვითარების ზოგადი მიმოხილვა და გამოწვევები</u>	5
3. <u>სტრატეგიული მიმართულებები</u>	9
4. <u>ზოგადი რისკები (SWOT- ანალიზი)</u>	10
5. <u>სტრატეგიული მიზნები და ამოცანები</u>	11
5.1 <u>ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება</u>	12
5.1.1 <u>არსებული ვითარების მიმოხილვა და ძირითადი გამოწვევები</u>	12
5.1.2 <u>მიზნები და ამოცანები</u>	13
5.1.3 <u>რისკები</u>	15
5.2 <u>ზოგადი განათლება</u>	15
5.2.1 <u>არსებული ვითარების მიმოხილვა და ძირითადი გამოწვევები</u>	15
5.2.2 <u>მიზნები და ამოცანები</u>	20
5.2.3 <u>რისკები</u>	22
5.3 <u>პროფესიული განათლება</u>	24
5.3.1 <u>არსებული ვითარების მიმოხილვა და ძირითადი გამოწვევები</u>	24
5.3.2 <u>მიზნები და ამოცანები</u>	27
5.3.3 <u>რისკები</u>	30
5.4 <u>უმაღლესი განათლება</u>	32
5.4.1 <u>არსებული ვითარების მიმოხილვა და ძირითადი გამოწვევები</u>	32
5.4.2 <u>მიზნები და ამოცანები</u>	35
5.4.3 <u>რისკები</u>	39
5.5 <u>მეცნიერება, ტექნოლოგია და ინოვაცია (STI)</u>	39
5.5.1 <u>არსებული ვითარების მიმოხილვა და ძირითადი გამოწვევები</u>	39
5.5.2 <u>მიზნები და ამოცანები</u>	44
5.5.3 <u>რისკები</u>	46
6. <u>მონიტორინგი და შეფასება</u>	47
7. <u>განხორციელების ინსტრუმენტური ჩარჩო და კომიტეტები</u>	47
7.1 <u>ინსტიტუციური ჩარჩო</u>	47
7.2 <u>პარტნიორები</u>	48
7.3 <u>სამოქმედო გეგმა</u>	48
8. <u>დაფინანსების წყარო</u>	49
<u>დანართები:</u>	49

## 1. შესავალი

განათლება წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას და მნიშვნელოვან პირობას ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის. შესაბამისად, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლებისა და მეცნიერების სისტემის უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და დეკლარირებულია როგორც ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედი.

ბოლო წლებში განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმირებაში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. ქვეყანამ გაატარა რიგი რეფორმები, რომლებიც მიმართული იყო პოსტ-საბჭოთა განათლების სისტემის გარდაქმნისა და ახალი სისტემის შექმნისკენ, რაც შესაბამისობაში მოვიდოდა სწრაფად ცვლად მსოფლიო მოთხოვნებთან და საერთაშორისო სარჩიელზე კონკურენტუნარიანი იქნებოდა.

სიღრმისეული რეფორმების მიუხედავად, კვლავ რჩება ბევრი გამოწვევა განათლების და გადამზადების სერვისების ხარისხთან და თანასწორ ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში. ასევე, გამოწვევებს შორის არის განათლების კავშირი შრომის ბაზართან, მეცნიერებისა და კვლევების განვითარების ხელშეწყობა.

მთავრობის ახალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“, ისევე როგორც საქართველოს მთავრობის რეფორმების ოთხპუნქტიანი გეგმა, განათლებას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანური კაპიტალის განვითარებას და მის ეფექტიან ჩართულობას ქვეყნის განვითარების პროცესებში. შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი, ბოლო 5 წლის განმავლობაში, 650 მლნ ლარიდან 1.1 მილიარდამდე გაიზარდა და 2017 წელს მშპ-ს 3.1 %-ს მიაღწია.

აღნიშნულ დოკუმენტებში განათლების სტრატეგიული პრიორიტეტები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა განათლების პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფა შრომის ბაზრის მიმდინარე და მომავალ მოთხოვნებთან, სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა, ყველა დონეზე განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, დასაქმებაზე მიბმული პროფესიული მომზადება, უმაღლესი განათლების, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კავშირი ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებასთან. მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმა, ასევე, ხაზს უსვამს იმ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების მნიშვნელობას, რომელთა მიზანია ეროვნული, სოციალური და კულტურული მახასიათებლების გაძლიერება, ისევე როგორც ქვეყანაში მოქალაქეობრივი თვითშეგნების განვითარება.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა განათლებისა და მეცნიერების ახალი ერთიანი სტრატეგია 2017-2021 (შემდგომში - სტრატეგია) წლებისთვის, რომელიც ეფუძნება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებს, განათლების, მეცნიერებისა და გადამზადების სფეროს მიღწევებისა და გამოწვევების ანალიზს. სტრატეგია მოიცავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემის ყველა მიმართულებას: ბავშვთა ადრეული/სკოლამდელი აღზრდა და განათლება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება, ზრდასრულთა განათლება, მეცნიერება და კვლევები. სტრატეგიის დოკუმენტში

დაცულია მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების (LLI) პრინციპი და განათლების სხვადასხვა დონეების შორის კავშირის უზრუნველყოფა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქტიურად ითანამშრომლებს შესაბამის სამინისტროებთან და სხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან, მათ შორის დარგობრივი განათლების პოლიტიკისა და კოორდინაციის მექანიზმის შემუშავების მიზნით. სტრატეგიაში აღწერილია, თუ როგორ უნდა იყოს ორგანიზებული და განვითარებული საქართველოს განათლების სისტემა, რათა ამ სისტემამ წვლილი შეიტანოს საზოგადოების წინსვლაში, დემოკრატიული მმართველობის გაძლიერებაში, დასაქმების ზრდაში, ცვალებად სამყაროში ინდივიდების თვითრეალიზაციისა და ქვეყნის კონკურენტულიანობის ზრდაში.

წარმოდგენილი დოკუმენტი სრულად ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს განათლების, გადამზადებისა და ახალგაზრდობის, მეცნიერების, კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების სფეროში. იგი, ასევე, შესაბამება ბოლონიის პროცესის მოთხოვნებს, ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის მიმართულებით, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში შეთანხმებულ აქტივობებს, რომელთა შესრულების ვალდებულება საქართველომ იკისრა. დოკუმენტი ეყრდნობა და შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის ოთხ პუნქტიან გეგმასთან, მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-თან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გაცხადებულ სტრატეგიულ მიმართულებებთან და სხვა დარგების სტრატეგიებთან, სადაც განათლების კომპონენტი იკვეთება.

სტრატეგია ორიენტირებულია განათლების სფეროში ევროკავშირის შესაბამის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან დაახლოვებაზე, რაც დაკავშირებულია განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებისას ბოლონიის პროცესის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების, მათ შორის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG) მოთხოვნების გათვალისწინებასთან. დოკუმენტი ასევე შესაბამისობაშია ე.წ. კოპენჰაგენისა და ტურინის პროცესებით გათვალისწინებულ ღირებულებებთანა და მიდგომებთან. სტრატეგიის დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს პროფესიული განათლებისა და გადამზადების ევროპულ კრედიტების სისტემის (ECVET) ეტაპობრივ დანერგვას საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში. 2017 წელს შემუშავებულ და განახლებულ მოდულურ პროგრამებში ამ პრინციპის შესაბამისად განხორციელდა კრედიტების მინიჭება სწავლის შედეგებისთვის.

განათლებისა და მეცნიერების ეროვნული სტრატეგიის განხორციელებაში მირითადი პასუხისმგებლობა აკისრია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. სტრატეგიის მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებმა, დონორმა ორგანიზაციებმა, როგორიცაა ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, UNICEF-ი და აშშ ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტი. სტრატეგიაში ასევე გათვალისწინებული იქნა მსოფლიო ბანკისა და USAID-ის მიერ შემუშავებული ანალიტიკური დოკუმენტები.

## 2. არსებული ვითარების ზოგადი მიმოხილვა და გამოწვევები

განათლებასა და მეცნიერებას აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობისათვის. მაღალი ხარისხის განათლება და მეცნიერება არის სოციალური კონსოლიდაციისა გარანტი. მაღალი ხარისხის განათლება ხელს უწყობს კეთილდღეობის ამაღლებას და პიროვნული, სოციალური და პროფესიული განვითარების აუცილებელი წინაპირობა. ამ მიზნების მისაღევად, საგანმანათლებლო სისტემა უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და ქვეყნის ყველა მოქალაქე უზრუნველყოს მაღალი ხარისხის მდგრადი შედეგების მიღწევის შესაძლებლობით.

არსებული მონაცემებით, საქართველოს სკოლამდელ საგანმანათლებლო სისტემაში, ფუნქციონირებს 1447 ბაგა-ბალი, რომელებშიც დასაქმებულია 5184 აღმზრდელი და 600 მეთოდისტი. საქართველოში ფუნქციონირებს 2085 საჯარო და 236 კერძო სკოლა. 2016-2017 სასწავლო წლის სტატისტიკის შესაბამისად, ქვეყნის მასშტაბით, სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა შედგენს 564 729 მოსწავლე (საჯარო 508 888; კერძო - 55 841), ხოლო სკოლის მასწავლებელთა რაოდენობაა 65 445 (საჯარო - 59 779; კერძო - 5 666). ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის რაოდენობაა საჯარო დაწესებულებებში 22 179, ხოლო კერძოში - 4 022. პროფესიული განათლების პროგრამებს ახორციელებს 39 საჯარო და 78 კერძო დაწესებულება. აღნიშნულ დაწესებულებებში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შედგენს 16 516 (საჯარო 12 037; კერძო - 4 479), ხოლო პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა შედგენს 4 172 (საჯარო - 2 198 ; კერძო - 1 974). აღნიშნულ დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის რაოდენობაა 1637 (საჯარო -798; კერძო - 839). საქართველოში ფუნქციონირებს 75 ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც 140 000-მდე სტუდენტი სწავლობს და დასაქმებულია 13 000-მდე აკადემიური, კვლევითი და ადმინისტრაციული პერსონალი. უნივერსიტეტებში ინტეგრირებულ 42 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დასაქმებულია 2446 პირი, ხოლო 3 სსიპ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში - 461 პირი.

გასული ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საშუალებით, განახორციელა ძალიან მნიშვნელოვანი ინტერვენციების სერია, რომელიც მიზნად ისახავდა განათლების ყველა დონეზე ხელმისაწვდომობის, ეფექტუარობისა და ხარისხის ზრდას. ამ მიზნების შესაბამისად, გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი, რომელიც 2012 წელს 650 მლნ ლარს შეადგინდა, ხოლო 2017 წელს 1.1 მილიარდს აჭარბებს და მთლიანი შიდა პროდუქტის 3.1 % აღწევს.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა განათლების სფეროს სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით. 2016 წელს მიღებულ იქნა კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, რომელმაც, თითქმის 7-წლიანი შუალედის შემდეგ, შესაძლებელი გახადა საგანმანათლებლო ფუნქციების საბაზო ბალებში დაბრუნება, რაც სასკოლო მზაობის მაღალი ხარისხის მისაღევად აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ასევე, ცვლილებები განიცადა კანონმა უმაღლესი განათლების შესახებ. განხორციელებული ცვლილებების მიზანი იყო სწავლისა და კვლევის ინტეგრაციის ხელშეწყობა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო პოტენციალის გამოყენება უმაღლესი განათლების ყველა საფეხურზე და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესაძლებლობის შექმნა. შემუშავდა და უახლოეს პერიოდში დამტკიცდება ახალი კანონი პროფესიული განათლების შესახებ.

2012 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის შემდგომი განვითარება და დაწერვა, რომელიც მიმართულია არსებული გამოწვევების გადაჭრისკენ თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით. 2016 წელს დასრულდა ზოგადი განათლების ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურის ნაწილის განახლება, რასაც მოყვება სახელმძღვანელოების განახლება და ხარისხის გაუმჯობესება. აღნიშნული ცვლილებები მაღაში შევა 2018 წელს.

პერსანენტულად მიმდინარეობს საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საჯარო სკოლებში, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებში. ამავდროულად ხდება საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაფართოვება განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. შემუშავებულია სოფლად მდებარე მცირეკონტრინგენტიანი სკოლების განვითარების კონცეფცია და დაწყებულია მშენებლობა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

2013 წლის დეკემბერში დამტკიცდა პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია და დაიწყო პროფესიულ განათლებაში სისტემური გარდაქმნა, რომელიც მოიცავს პროფესიულ განათლებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფას, საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმას, დამსაქმებელთა ჩართულობით ახალი პროფესიული პროგრამების შემუშავებას და ინოვაციური სწავლების ხელშეწყობას სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ინოვაციური სასწავლო ლაბორატორიებით აღჭურვის გზით და სხვა შესაბამისი მექანიზმების გამოყენებით.

2013 წლიდან სახელმწიფო სრულად აფინანსებს სწავლას სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში; 2013 წელს გაფორმდა სექტორული მხარდაჭერის ხელშეკრულება ევროკავშირის წარმომადგენლობასთან და დაიწყო საბიუჯეტო და ტექნიკური დახმარების 4 წლიანი პროექტების განხორციელება საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის მხარდასაჭერად; 2015 წლიდან გაძლიერდა მეწარმეობის სწავლება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში; 2016 წლიდან დაიწყო პროფესიული პროგრამების სამუშაოზე დაფუძნებული/დუალური სწავლების პრინციპით განხორციელება.

2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ცალკეული თავებით განისაზღვრა მეცნიერებისა და განათლების სფეროში ევროკავშირთან საქართველოს თანამშრომლობა. კერძოდ, შეთანხმების მე-12 თავი ითვალისწინებს თანამშრომლობას კვლევის, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების სფეროში, ხოლო მე-16 თავში მოცემულია განათლებას, ტრეინინგებისა და ახალგაზრდობის მიმართულებით თანამშრომლობის თემები. აგრეთვე, საქართველოს საგანმანათლებლო-სამეცნიერო სფეროსთვის მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების პროგრამის „პორიზონტი 2020“-ის 77 მილიარდიანი ფონდი, რომლის წევრიც საქართველო 2016 წელს გახდა და რომლის ფარგლებშიც, კონკურსის წესით, უკვე დაფინანსდა ქართული ორგანიზაციების მიერ წარდგენილი 17 პროექტი, 5.2 მლნ. ლარზე მეტი ჯამური ღირებულებით. ამასთან ქვეყანას უბრუნდება გადახდილი საწევროს ნახევარი, მეცნიერების შემდგომი განვითარების მიზნით.

საქართველო აქტიურად არის ჩართული ევროკავშირის პროგრამაში ERASMUS+ და 131 პარტნიორ ქვეყანას შორის მე-8 ადგილს იკავებს წარმატებული პროექტების კუთხით. შედეგად, 2015 წლიდან 1500-ზე მეტი საქართველოს მოქალაქეობის მქონე სტუდენტების სწავლა დაფინანსდა ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში. 2017 წლის აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა ERASMUS+ის პროგრამის ფარგლებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმირებისას უმნიშვნელოვანესია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ათასწლეულის გამოწვევის მეორე კომპაქტის ფარგლებში მიმდინარე დახმარება, რომლის ჯამურ ღირებულებას 140 მილიონი აშშ დოლარი შეადგენს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ტექნიკური დახმარების გარდა, რეგიონებში ასამდე საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. დაწყებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 45-მდე პროფესიული პროგრამების შემუშავება კერძო სკეტორისა და საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით, აშშ სან დიეგოს უნივერსიტეტი კი სამ ქართულ უნივერსიტეტთან ერთად ამერიკულ დიპლომს სთავაზობს საქართველოს მოქალაქეობის მქონე სტუდენტებს.

2014 წელს დაწესებიდან, სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ დაფინანსდა 483 საქართველოს მოქალაქეების სწავლა მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში.

განხორციელებული რეფორმების მიუხედავად, ქართული საგანმანათლებლო სისტემა ჯერ კიდევ დგას გარკვეული გამოწვევის წინაშე, რომელთა დაძლევა წარმოადგენს 2017-2021 წლების განათლებისა და მეცნიერების ეროვნული სტრატეგიის მთავარ მიზანს.

სიღრმისეული რეფორმების მიუხედავად, კვლავ რჩება ბევრი გამოწვევა განათლების და გადამზადების სერვისების ხარისხთან და თანასწორ ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში. გამოწვევებს შორისაა განათლების კავშირი შრომის ბაზართან, შემოქმედებითი და სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება განათლების ყველა საფეხურზე, ასევე, მეცნიერებისა და კვლევების ხელშეწყობა. სამართლებრივ რეგულირებას და სისტემის გარკვეულ ცვლილებას საჭიროებს განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფა და საგანმანათლებლო ჩიხების აღმოფხვრა.

გლობალიზაციამ და ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა წარმოქმნა ახალი შესაძლებლობები განათლებისა და დასაქმების სფეროში. ციფრულმა ტრანსფორმაციამ შეცვალა შრომის ბაზარი და შექმნა ახალი უნარების განვითარების საჭიროება. შესაბამისად, განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდები შესაბამისი კომპეტენციით, ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რაც, ასევე, თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა უპასუხოს შესაბამისი სამართლებრივი და მარეგულირებელი ცვლილებებით განათლების ყველა დონეზე.

საქართველოს მთავრობა განათლების ინტერნაციონალიზაციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მიიჩნევს, რომ ის იქონიებს დიდ გავლენას საქართველოში განათლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებაზე. განათლების ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთ ხელშეწყობა ფაქტორს წარმოადგენს ქართული საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთაშორისო თანამშრომლობა

ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებთან. ამის ნათელი მაგალითებია: სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის და სამი ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ერთობლივი და უცხოუროვანი საბუნებისმეტყველო, საინჟინრო და მათემატიკური მიმართულებების (STEM) საბაკალავრო პროგრამების განხორციელება და ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შექმნის ინიციატივა. რაც საქართველოს უმაღლესი განათლების, მეცნიერების, კვლევისა და ინოვაციების რეგიონულ ცენტრად ჩამოყალიბებას ემსახურება.

საქართველოს განათლების სისტემა, წარმატების მისაღწევად, საჭიროებს ძალისხმევის გაგრძელებას საგანმანათლებლო სისტემის ინტერნაციონალიზაციისთვის, კვლევებისა და ცოდნის გაღრმავების გაძლიერებისთვის, აკადემიური პერსონალისა და კადრების, ასევე სტუდენტების საერთაშორისო მობილურობისათვის, რათა დააკმაყოფილოს საერთაშორისო სტანდარტები და შექმნას უმაღლესი ხარისხის განათლების პროგრამები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

უმაღლესი განათლების ხარისხის შენარჩუნებისა და ამაღლების პროცესში მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების სფეროში ევროპული თანამშრომლობის გაძლიერება, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ქსელთან (ENQA) თანამშრომლობის გაღრმავება. ENQA-ს სრულფასოვანი წევრის სტატუსის მოპოვება იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი ევროპის ერთიან უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებისთვის და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის ცნობადობის გაზრდასა და მისდამი ნდობის ამაღლებას.

აღნიშნული სტრატეგია წარმოადგენს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მომავალ 5-წლიან ძალისხმევას, სფეროს წინაშე არსებულ ყველა გამოწვევის საპასუხოდ. სტრატეგიის შემდეგ ნაწილებში განათლების დონეების მიხედვით უფრო დეტალურადაა აღწერილი არსებული გამოწვევები და პრობლემები, აგრეთვე, მათი გადაჭრისა და მოგვარების გზები.

სტრატეგია გათვლილია ხუთწლიან პერიოდზე, თუმცა მიზნების სრულად განხორციელება უფრო ხანგრძლივ პერიოდთან არის დაკავშირებული. ამგვარად, შესაბამისი საკითხები, ამოცანები და აქტივობები გათვალისწინებულ იქნება შემდგომ სტრატეგიულ დოკუმენტებში. ამასთან, მოცული დოკუმენტის სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს ღონისძიებათა მინიმალურ პაკეტს. დამატებით ქმედებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს მიიღებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობისა და ბიუჯეტის გათვალისწინებით. დოკუმენტში თავმოყრილია სხვადასხვა ფორმით არსებული მირითადი გეგმები და ამოცანები, რაც მომავალში, საერთაშორისო თანამეგობრობასა და ფართო საზოგადოებასთან ერთად, საერთო სურათის დანახვისა და სისტემის გაუმჯობესებისთვის აუცილებელი შემდგომი ნაბიჯების უკეთესად დაგემოვის საშუალებას მოგვცემს.

### 3. სტრატეგიული მიმართულებები

საქართველოს მთავრობის ხედვა განათლებასა და მეცნიერებასთან მიმართებაში გულისხმობს ისეთი სისტემის განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული და ზოგადსაკაცობრივ ღირებულებების მქონე, კომპეტენტური და კონკურენტურიანი მოქალაქეების აღზრდას, რომელთაც წვლილი შეაქვთ ცოდნის ეკონომიკის განვითარებასა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

განათლება და მეცნიერება ქვეყნის ეკონომიკური და მდგრადი განვითარების ქვაკუთხედია. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მისიას წარმოადგენს ადამიანური კაპიტალის განვითარება და მოქალაქეთა შესაძლებლობების სრულად რეალიზების ხელშეწყობა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზანია ჩამოაყალიბოს იმგვარი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას და ხარისხიან განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას, რათა სისტემამ თითოეული პირი მომავალი ცხოვრებისთვის, ხელი შეუწყოს დასაქმებას, პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მჭიდროდ ითანამშრომლებს შესაბამის სამინისტროებთან და სხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან, მათ შორის დარგობრივი განათლების პოლიტიკისა და კოორდინაციის მექანიზმის შემუშავების მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, შემოქმედებითი და სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებას, გაგრძელდება შემეცნებითი, კულტურული აქტივობების, აქტიური სწავლისა და დასვენების ხელშეწყობა.

საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი, ასევე, განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება წარმოადგენს განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მისი ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრის წინაპირობას. ხუთწლიანი სტრატეგიის დოკუმენტი განსაზღვრავს განათლებისა და მეცნიერების ყველა დონეს ადრეული და სკოლამდელი განათლება, ზოგადი განათლება, პროფესიული განათლება, უმაღლესი განათლება და კვლევა და განვითარება - როგორც მირითად მიმართულებებს განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარებისთვის. დოკუმენტი მოითხოვს განხორციელების ერთიან მიდგომას საქართველოში განათლებისა და მეცნიერების სისტემის ტრანსფორმაციისა და განვითარებისთვის.

განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარება და აღნიშნული სტრატეგიის განხორციელება ეფუძნება ხარისხზე ორიენტირებულ მიდგომას და შემდეგ სამ პრინციპს:

- ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა;
- მონაწილეობა;
- კოორდინაცია განათლების ყველა დონეზე.

## 4. ზოგადი რისკები (SWOT- ანალიზი)

წარმოდგენილი SWOT ანალიზი მოიცავს განათლებისა და მეცნიერების სფეროს ძლიერ და სუსტ მხარეებს, აგრეთვე არსებულ შესაძლებლობებსა და პოტენციურ საფრთხეებს. განათლებისა და მეცნიერების სისტემის დონეების მიხედვით კონკრეტული რისკები მოცემულია შესაბამის თავებში.

ცხრილი: განათლებისა და მეცნიერების სისტემის სფეროს SWOT- ანალიზი

ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
<ul style="list-style-type: none"> <li>• არსებული პოლიტიკური ნება</li> <li>• განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული ტრადიციები</li> <li>• მოსახლეობის მხრიდან ცვლილებების სურვილი</li> <li>• მთავრობა კორუფციის გარეშე</li> <li>• საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა</li> <li>• განათლების ინტერნაციონალიზაციის გლობალური ტენდენცია</li> <li>• გლობალური ტექნოლოგიური პროგრესი</li> <li>• ევროვაერმირისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მხარდაჭერა</li> <li>• სახელმწიფოს მხრიდან განათლების სფეროში ჩადებული ინვესტიციები</li> <li>• გამარტივებული ადმინისტრაციული პროცედურები და განვითარებული სახელმწიფო სერვისები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დემოგრაფიული ცვლილებები</li> <li>• მოსახლეობის არათანაბარი გადანაწილება</li> <li>• კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე</li> <li>• განათლების დაბალი ხარისხი</li> <li>• არასაკმარისი ფინანსები</li> <li>• შრომითი ბაზის მოთხოვნებთან განათლების სისტემის შეუსაბამობა</li> <li>• განათლების ყველა საფეხურზე მასწავლებელთა მაღალი ასაკი და მათი კვალიფიკაცია</li> <li>• ახალგაზრდა მეცნიერების ნაკლებობა</li> <li>• ფინანსებზე/გრძელვადიან საინვესტიციო რესურსებზე შეზღუდული წედომა</li> <li>• ინოვაციებისა და R&amp;D დაბალი დონე</li> <li>• კვლევისა და განვითარების ინსტიტუტებსა და კორპორაციების არასაკმარისი თანამშრომლობა</li> <li>• ტექნოლოგიების დანერგვის შეზღუდული შესაძლებლობები და ახალი ტექნოლოგიების/მირითადი საშუალებების მაღალი ხარჯი</li> <li>• ადამიანური კაპიტალის არასაკმარისი კონკურენტუნარიანობა</li> <li>• მომველებული ინფრასტრუქტურა</li> </ul>
<h3>შესაძლებლობები</h3> <ul style="list-style-type: none"> <li>• ტექნოლოგიური პროგრესი</li> <li>• მოთხოვნა მაღალი ხარისხის განათლებაზე</li> <li>• ფინანსებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა</li> <li>• შრომის ბაზის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემა</li> <li>• საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და განათლებისა და მეცნიერების ინტერნაციონალიზაცია</li> <li>• გაზრდილი მოთხოვნა საქართველოში უმაღლესი განათლების მიღებაზე</li> <li>• ინოვაციების და ტექნოლოგიების დანერგვის პოტენციალის გაძლიერება</li> </ul>	<h3>საფრთხეები</h3> <ul style="list-style-type: none"> <li>• შესაძლო საგარეო კონფიდენციალური ფაქტორები (ფანასური კრიზისი, რეგიონული კონფლიქტები, არასტაბილურობა და ა.შ.)</li> <li>• კონკურენტური ზრდის შესაძლო შენელება</li> <li>• ცვლილებებისადმი მოსახლეობის მხრიდან არასაკმარისი მხარდაჭერა</li> <li>• პოლიტიკური არასტაბილურობა</li> <li>• არასაკმარისი ცოდნა და მათთან ადაპტაციის დაბალი დონე</li> <li>• საფანმანათლებლო პროგრამებში ბიზნეს-სექტორის არასაკმარისი მონაწილეობა</li> <li>• გლობალური კონკურენცია უმაღლესი განათლების სფეროში</li> </ul>

## 5. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

არსებული გამოწვევებისა და ქვეყნის განვითარების მიზნების საპასუხოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა განათლების სისტემის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი. განისაზღვრა სტრატეგიის ძირითადი და განათლებისა და მეცნიერების თითოეული დონისათვის ხუთი სპეციფიური მიზანი, რომელიც ჩაშლილია სტრატეგიულ ამოცანებად. ისინი უზრუნველყოფენ სტრატეგიის საერთო მიზანთან ბმას და კონტრიბუციას, ასევე, უზრუნველყოფენ მათ განხორციელებას შესაბამისი სტრატეგიული ამოცანებისა და აქტივობების მეშვეობით.

სტრატეგიის საერთო მიზანია მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე დაფუძნებული, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარება, რომელიც ქვეყნის ყველა მოქალაქეს უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მდგრადი შედეგების მიღწევის შესაძლებლობით და ხელს შეუწყობს საქართველოს ჩამოყალიბებას უმაღლესი განათლებისა და კვლევის რეგიონულ ცენტრად.

### სპეციფიკური მიზნები

- მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სასკოლო ასაკის ბავშვების სკოლისთვის მომზადების უზრუნველყოფა;
- მოსწავლეების მომავალი ცხოვრებისთვის მომზადების მიზნით მაღალი ხარისხის ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო შედეგების უზრუნველყოფა;
- ქვეყნის სოციო-კონომიკური განვითარების მხარდასაჭერად პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გაზრდა, მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა პროფესიული და ზოგადი უნარების განვითარების გზით;
- უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და ხარისხიანი უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებისა და დასაქმების გაუმჯობესებისათვის;
- მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის მოდერნიზაცია და ინტერნაციონალიზაცია ახალი ცოდნის შექმნისათვის და ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის.

სტრატეგიის დოკუმენტის შემდგომ ნაწილებში ჩამოყალიბებულია განათლების ყოველი დონისთვის შესაბამისი განხორციელების გზები, რომელიც გამომდინარეობს განათლების სისტემის შესაბამის კომპონენტის წინაშე მდგარი კონკრეტული გამოწვევებიდან.

## 5.1 ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება

### 5.1.1 არსებული ვითარების მიმოხილვა და ძირითადი გამოწვევები

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო ეყრდნობა და ითვალისწინებს შემდეგ კანონებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებებს: კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების შესახებ“, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება; გაეროს ბავშვის უფლებების კონვენცია (CRC); დაკარის სამოქმედო გეგმას განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით (EFA); ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW); სალამანკის მიმართვა (UNESCO); კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ (CRPD); გაეროს მდგრადი განვითარების 2015-2030 წლების მიზნების ამოცანა 4.2.

კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, 2015 წლიდან დაიწყო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მირეული და მასშტაბური რეფორმა. 2016 წლის 8 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების შესახებ“, რომელმაც არსებითად შეცვალა მიდგომები ადრეული და სკოლამდელი განათლებისადმი და განათლების ამ საფეხურზე ხარისხის უზრუნველყოფის მყარი საფუძვლები შექმნა.

სასკოლო მზაობის უზრუნველყოფის მიზნით, 2015 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა „სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი.“ შეიქმნა სასკოლო მზაობის პროგრამა, აღმზრდელის გზამკვლევი, აქტივობების კრებული, ტრენინგ-მოდული აღმზრდელებისთვის. გადამზადდა თბილისის სკოლამდელი დაწესებულების მეთოდისტები და აღმზრდელები. პროგრამა დაინერგა თბილისის 171 და რეგიონების 180 სკოლამდელ დაწესებულებებში, ასევე, ალტერნატიულ სასკოლო მზაობის ცენტრებში. არსებული მონაცემებით, საქართველოს სკოლამდელ საგანმანათლებლო სისტემაში, ფუნქციონირებს 1447 ბაგა-ბალი, რომელგანვითარების 5184 აღმზრდელი და 600 მეთოდისტი.

2016 წლამდე საქართველოს სკოლამდელი დაწესებულებები მხოლოდ სააღმზრდელო ფუნქციას ასრულებდნენ და ორიენტირებულები იყვნენ ბავშვის მოვლაზე, იგნორირებული იყო განათლების კომპონენტი. შესაბამისად, დაბალი იყო ბავშვების სკოლისათვის მომზადების დონე. ზოგადი განათლების არადამაკავშირის ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი სწორედ დაბალი სასკოლო მზაობაა. კვლევების მიხედვით, პირველ კლასში მისული მოსწავლეების იმ ნაწილს, რომლებიც სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში არ დადიოდნენ, არ აღმოაჩნდა სასკოლო განათლების დაწყებისთვის საჭირო კოგნიტური და არაკოგნიტური (ემოციური, სოციალური, ფიზიკური) უნარები. გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, აღნიშნული პრობლემა კვლავ ერთ-ერთ გამოწვევად რჩება, რაც შემდგომ სისტემურ მუშაობას მოითხოვს.

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულ პედაგოგთა კვალიფიკაციის დონე. სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებული აღმზრდელ პედაგოგების საშუალო ასაკი 40-დან 47 წლამდეა, მათგან მხოლოდ 32.2%-ს აქვს უმაღლესი განათლება

სკოლამდელი განათლების სფეროში, 35.4%-ს - პროფესიული, ხოლო 32%-ს არ აქვს ამ დარგში განათლება. აღმზრდელ-პედაგოგთა 40%-ს არ აქვს გავლილი არანაირი ტრენინგი და საწყისი განათლება ათლეულების წინ აქვთ მიღებული. რაც შეეხება აღმზრდელების განათლებას, მათ მხოლოდ მცირე ნაწილს (21.2%) აქვს რაიმე ტიპის განათლება სკოლამდელ აღმზრდის ან პედაგოგიურ სფეროში, და უმეტესობას (72.3%) არ აქვს გავლილი არანაირი პროფესიული გადამზადების კურსი, ტრენინგი და სხვ.

სასკოლო მზაობის პროგრამის ამოქმედების მიუხედავად, სკოლამდელი განათლების სისტემის აწყობა და განვითარება მნიშვნელოვან გამოწვევად ჩარჩოს. გასათვალისწინებელია, რომ ნაკლებად ხდება ინკლუზიური სკოლამდელი განათლების პრინციპების ინტეგრირება აღმზრდის პროცესში. არაქართულენოვან სკოლამდელ დაწესებულებებში ქართული ენის კომპონენტის არარსებობა ართულებს ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესს. ყოველივე გამოწვეულია წლების განმავლობაში სახელმწიფოს საგანმანათლებლო სტანდარტების არარსებობით.

აგრეთვე მნიშვნელოვანი გამოწვევა საგანმანათლებლო რესურსების არარსებობა. სკოლამდელი განათლების სისტემის ჩამოყალიბების პროცესში გადამწყვეტი როლი ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამების და რეკომენდირებული აქტივობების განსაზღვრას, სასწავლო და განმავითარებელი მასალის შექმნას, განსაკუთრებით ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებისთვის, პერსონალისთვის მეთოდოლოგიური და საგანმანათლებლო რესურსების განვითარებასა და მშობელთა განათლების პროგრამების განხორციელებას.

### 5.1.2 მიზნები და ამოცანები.

სკოლამდელი განათლების სპეციფიკური მიზანია - მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სასკოლო ასაკის ბავშვების სკოლისთვის მომზადების უზრუნველყოფა.

სკოლამდელი განათლების მიზანია ბავშვების აღზრდისა და განათლების მათი მრავალმხრივი განვითარების უზრუნველყოფა და სკოლისათვის მომზადების ხელშეწყობა, რაც ჰარმონიზებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული მიზნის მიღწევასთან - უზრუნველყოს უწყვეტი ხარისხიანი განათლება ყველასათვის. სკოლამდელი განათლების მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი სტრატეგიული ამოცანა:

სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მაღალი ხარისხის, ინკლუზიური და თანამდებობის სამსახურის სკოლამდელი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა.

სამინისტრო შეიმუშავებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებს და გააგრძელებს მუშაობას სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის გაუმჯობესებაზე.

სამინისტრო განსაზღვრავს სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების გზებსა და სტრატეგიებს. ინკლუზიური განათლების პრინციპების, ქვეყნის კულტურული და ეროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით, სამინისტრო მოახდენს საჭირო საგანმანათლებლო რესურსებისა და დამხმარე მასალების იდენტიფიცირებას და შეიმუშავებს საჭირო რესურსების ჩამონათვალს. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება სარეკომენდაციით პროგრამების შემუშავებას, რომლებშიც ინტეგრირებული იქნება სამოქალაქო განათლების, საბაზო სამეწარმეო უნარების, ჯანსაღი ცხოვრების წესის, ხელოვნების, გარემოსდაცვითი მიმართულებებით. აღნიშნული პროგრამები მოიცავს ყველა ძირითადი უნარის განვითარებას ფიზიკური, ემოციური, კოგნიტური, სოციალური და გარემოში ორიენტაციის მიმართულებით.

სამინისტრო, აგრეთვე, უზრუნველყოფს მეთოდოლოგიური მასალის - გზამკვლევების და მოდულების აღმზრდელებისა და აღმზრდელ-პედაგოგებისათვის - შემუშავებას და ხელს შეუწყობს მშობლის/მეურვის ინფორმირებულობის ამაღლებას. სამინისტრო მჭიდროდ ითავამშრომლებს შესაბამის სახელმწიფო და ადგილობრივ სტრუქტურებთან სკოლამდელი დაწესებულების და სასკოლო მზაობის პროგრამის აღმზრდელ-პედაგოგის, აღმზრდელის და სხვა პერსონალის მომზადება/გადამზადების პროგრამების, პროფესიული სტანდარტებისა და ტრენინგ-მოდულების შექმნისა და განხორციელების მიზნით.

სამინისტრო განახორციელებს აღმზრდელ-პედაგოგების სერტიფიცირებას, რაც მოიცავს შესაბამისი მოდულების შემუშავებას, დარგის სპეციალისტებისა და მეთოდისტების ტრენინგს და შემდგომ მათი ტრენერებად მომზადებას. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი აღმზრდელებისა და აღმზრდელ-პედაგოგთათვის სამინისტრო უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის სწავლა-სწავლებას. რეფორმის განხორციელების პროცესში, აგრეთვე, განხილული იქნება სკოლამდელ დაწესებულებებში ახალგაზრდა კადრების შემოსვლისთვის წახალისების სისტემის შექმნა.

განათლებისა და მეცნიერების სისტემაში მხარდაჭერილი იქნება სკოლამდელი განათლების სპეციალისტების მომზადებისათვის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დანერგვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, აგრეთვე, პროფესიული განათლების სისტემაში აღმზრდელის მომზადების მოდულის გადამუშავება ახალი სტანდარტების შესაბამისად და დანერგვა სკოლამდელი განათლების მიმართულების ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში შესაბამისი პროფესიის ასახვის გზით. შესაბამის სამინისტროებთან კოორდინაციით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ხელს შეუწყობს საშემსრულებლო ხელოვნების (მუსიკის) და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლების პროფესიული მოდულის შექმნას და დანერგვას.

სკოლამდელი განათლების რეფორმის განხორციელების პროცესში, სამინისტრო შეიმუშავებს მონიტორინგისა და შეფასების სისტემას, რათა ხელი შეუწყოს სისტემაში ხარისხის გაუმჯობესებას და მდგრადი შედეგების მიღწევას. შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შეიმუშავებს მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებს სკოლამდელი განათლებისა და სასკოლო მზაობის პროგრამებისთვის.

### 5.1.3. რისკები

#	აღმოჩენილობა	ვაჭრობის	დაღმათობა	გავლენა	სამინისტრო მიზანები
1	რეფორმის განხორციელებისას უწყებებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კოორდინაციის ნაკლებობა	პოლიტიკური	დაბალი	მაღალი	სამინისტრო გააძლიერებს ძალისხმევას სამინისტროებთან კოორდინაციის მიზნით. ხელს შეუწყობს ადგილობრივ დონეზე მონიტორინგის განხორციელების წარმატებისთვის იმუშავებს მუნიციპალიტეტებთან და მიცემს რეკომენდაციებს
2	არასაკმარისი ადამიანური რესურსები	ორგანიზაციულ ლი	საშუალო	მაღალი	სამინისტრო გაატარებს ღონისძიებებს სკოლამდელი დაწესებულებების ახალი კადრების მომზადების მიზნით.

## 5.2 ზოგადი განათლება

### 5.2.1 არსებული ვითარების მიმოხილვა და ძირითადი გამოწვევები

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოს საფუძვლად უდევს შემდეგი საკანონმდებლო აქტები, საერთაშორისო კონვენციები და ხელშეკრულებები: საქართველოს კონსტიტუცია, „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი; საქართველოს მთავრობის დადგენილება „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ, კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ; „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია;

საქართველოში უზრუნველყოფილია უწყვეტი საყოველთაო ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა. შედეგებზე ორიენტირებული განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისა და მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გაუმჯობესების მიზნით ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა განთლების მართვის, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების, განათლების გარემოს განვითარების ხელშეწყობის, ასევე, განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით.

შემუშავდა და დამტკიცდა დაწყებითი საფეხურის შინაარსობრივად და სტრუქტურულად განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმა. მიმდინარეობს საბაზო და საშუალო საფეხურების ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზია და განვითარება. კონკურსის წესით შეირჩევა და დაინერგება ახალი სტანდარტების შესაბამისი შინაარსობრივად და ტექნიკურად გაუმჯობესებული სახელმძღვანელოები. ეროვნული სასწავლო გეგმა და სასკოლო პროგრამები განვითარდება თანამედროვე, განათლების მეცნიერებებზე დაფუძნებული და მოსწავლეების ასაკობრივი განვითარებისა და შესაძლებლობების შესაბამისი პრინციპებით. დაწყებით საფეხურზე წარმართველი იქნება თამაშითა და კეთებით სწავლის პრინციპი, საბაზო საფეხურზე სწავლა გახდება სახალისო, განვითარდება და გამარტივდება საგნობრივი პროგრამები.

მასწავლებლის საქმიანობის კომპლექსური შეფასების, მათთვის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობების უზრუნველყოფისა და შესაბამისი მოტივაციის შექმნის მიზნით, ფართო განხილვისა და ხანგრძლივი შეთანხმებების საფუძველზე 2015 წლის თებერვალში „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“ დამტკიცდა. სქემის ფარგლებში მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებული შეფასებისა და პროფესიული განვითარების ძირითადი ფუნქციები დელეგირებულია სკოლაზე, რითაც გაზრდილია სკოლების ავტონომიურობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას. ყოველწლიურად 25 ათასზე მეტი მასწავლებელი მონაწილეობს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ტრენინგებში ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ზოგადი პედაგოგიური უნარები, საგნობრივი მოდულები, ინტერაქტიული სწავლება, შეფასებისა და სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ინკლუზიური განათლება და სხვა.

მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესების სტიმულირების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში მასწავლებლის საბაზო ანაზღაურება მნიშვნელოვნად გაიზარდა და 405 ლარის ოდენობით განისაზღვრა; 16 000-მდე მასწავლებლის სტატუსის შესაბამისი დანამატები კი (2017 წლიდან) თითქმის გაორმაგდა. მასწავლებელთა საშუალო ხელფასი (2012 წელთან შედარებით) 80%-ით გაიზარდა და ყველა არსებული დანამატის გათვალისწინებით, 800 ლარს მიაღწია.

სასკოლო მენეჯმენტის გაძლიერების მიზნით, სკოლის დირექტორებს, ფასილიტატორებსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელებს, როგორც საგანმანათლებლო ლიდერებს, უტარდებათ ინტენსიური ტრენინგები ათასწლეულის გამოწვევის ფონდის დაფინანსებული „ლიდერობის აკადემიის“ ფარგლებში.

ზოგადი განათლების გაუმჯობესებაზე მიმართული რეფორმები და ღონისძიებები უზრუნველყოფს საქართველოს ყველა სკოლაში განათლებაზე ხელმისაწვდომობას. მოსწავლეების სოციალური პრობლემების გათვალისწინებით, 2012 წლიდან სოციალურად ორიენტირებული პროგრამების დაწერგვა დაიწყო, რამაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქა შინამეურნეობის დანახარჯები განათლებაზე: სკოლების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა და მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის ამოქმედების შედეგად. სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის: სახელმძღვანელოსა და სავარჯიშო რვეულების კომპლექტები უსასყიდლოდ გადაეცემა ყველა საჯარო სკოლის 500 000-ზე მეტ და კურძო სკოლების სოციალურად დაუცველ, ომში დაღუპული პირების ოჯახების მოსწავლეებს.

თითოეული მოსწავლისთვის უსაფრთხო, ტოლერანტული, დისკრიმინაციისა და ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნის მიზნით, სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებაზე გათვლილი სერვისებისა და დაცვის სისტემების განვითარებას, ფსიქოლოგიურ და სამედიცინო მომსახურებას, პრევენციული აქტივობების განხორციელებას.

ბოლო ორი წლის განმავლობაში მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების, მრავალმხრივი განვითარების, საინტერესო სასკოლო ცხოვრების ორგანიზების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, გაფართოვდა ექსტრაკურიკულარული აქტივობების სპექტრი და ხელმისაწვდომი გახდა ყველა მოსწავლისთვის მისი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად. „თავისუფალი გაკვეთილების“ ფარგლებში მოსწავლეები ჩართული არიან სპორტულ, სახელმწიფო, წიგნიერების და ინტელექტუალურ აქტივობებში. აქტიური სწავლისა და დასვენების მიზნით, სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული ზაფხულის და ზამთრის ბანკები საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის სრულად დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ. ამ მიმართულებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად აქტიურად არის ჩართული კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, სხვა სახელმწიფო უწყებები და ადგილობრივი ხელისუფლება.

ყოველწლიურად იზრდება ინკლუზიური განათლების ხარისხი და ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების რაოდენობა. ბოლო 5 წლის განმავლობაში მათი რაოდენობა 167 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლიდან გაიზარდა და დღეისათვის საგანმანათლებლო სერვისით 7 000-მდე სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლე სარგებლობს. მათ 1400-ზე მეტი დამატებითი სპეციალისტი (სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი და ა.შ.) ემსახურება, რომელთა კვალიფიკაცია განვითარებას საჭიროებს. თუმცა, კვლავ პრობლემად რჩება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით მუშაობის ხარისხი.

მიუხედავად მნიშვნელოვანი წინსვლისა, სწავლების ხარისხი და მოსწავლეთა აკადემიური შედეგები კვლავ გამოწვევად რჩება. სკოლის დამამთავრებელ გამოცდებზე მოსწავლეთა თითქმის მეოთხედს მინიმალური კომპეტენციების დადასტურება უჭირს და ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს ვერ იღებს. საერთაშორისო შეფასებების მიხედვით, საქართველოს

მოქალაქეობის მქონე მოსწავლეები საშუალო მაჩვენებლებით კვლავაც ჩამორჩებიან საშუალო საერთაშორისო მაჩვენებელს. 2015 წლის PISA-ის საერთაშორისო შეფასების შედეგები აჩვენებს, რომ გამოკითხული 15 წლის მოზარდების 50%-ზე მეტი ვერ აკმაყოფილებს მოსწრების ელემენტარულ დონეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, წიგნიერებასა და მათემატიკაში (OECD, 2016). ამასთანავე, საყურადღებოა მოსწავლეთა შორის აკადემიური მიღწევების მნიშვნელოვანი განსხვავება და ჩამორჩენა ქვეყნის შეგნით სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ ფენებს, ასევე ქალაქისა და სოფლის, ქართულენოვან და არაქართულენოვან სკოლებს შორის. ამასთან, შეფასების არსებული სისტემა გაუმჯობესებასა და განვითარებას საჭიროებს, რათა უზრუნველყოს ზოგადი განათლების სრულფასოვანი შეფასება.

ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა, ფაქტობრივად, უზრუნველყოფილია. დაწყებითი განათლების საფეხურზე ჩარიცხვის უნივერსალური მთლიანი მაჩვენებელი (UNESCO, 2014) იმაზე მიუთითებს, რომ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ და ეთნიკურ უმცირესობათა ბავშვთათვის თითქმის არ არსებობს განსხვავება ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით. თუმცა საბაზო და საშუალო განათლების დონეზე ჩართულობის კოეფიციენტი გარკვეულწილად ნაკლებია და აღწევს 88%-ს (UNESCO, 2014). ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციაზე მიმართული საგანმანათლებლო პოლიტიკის მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება სახელმწიფო ენის სწავლების ხარისხი და არაქართულენოვანი სასწავლო რესურსების შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან; ასევე, მოსწავლეთა საშუალო საფეხურზე გადასვლა, განსაკუთრებით გოგონათა შემთხვევაში (5,9%). ამასთანავე, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებულ რიგ რეგიონებში ბავშვთა შრომა ხელს უშლის მოსწავლეების სრულფასოვან ჩართულობასა და შესაბამისად, უკეთესი შედეგების მიღწევას. მოსწავლეების დაბალ შედეგებს აღნიშნულ რეგიონებში კვალიფიციური მასწავლებლების დეფიციტიც განაპირობებს. არადამაკმაყოფილებელია სახელმძღვანელოების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სხვა სასწავლო რესურსების ხარისხი, მრავალფეროვნება და გამოყენების ინტენსივობა.

განათლების ხარისხის გაუმჯობესების კომპლექსური და სისტემური მიდგომის საჭიროებიდან გამომდინარე, კვლავ დგას პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლების და სასწავლო პროცესის მოდერნიზების საჭიროება. მიუხედავად იმისა, რომ მიღებულია მრავალი მარეგულირებელი დოკუმენტი (მასწავლებელთა სტანდარტები, მასწავლებელთა კარიერული წინსვლის სქემა) და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები პერმანენტულად მიმდინარეობს, მასწავლებელთა უმრავლესობის კომპეტენციები დაბალია. მასწავლებელთა კორპუსის 70%-მდე პრაქტიკოსი მასწავლებელია, რაც პროფესიული განვითარების სქემაში საბაზისო სტატუსს ნიშნავს. მასწავლებელთა დიდი ნაწილი საინფორმაციო ტექნოლოგიებს მხოლოდ მარტივი კომუნიკაციისთვის იყენებს და გაკვეთილებს ტრადიციული მეთოდებით ატარებს. ამასთან, ინფორმაციული ტექნოლოგიების საუკუნეში გაჩერილი ახალი გამოწვევების ფონზე, არადამაკმაყოფილებელია მედიაწიგნიერებისა და ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციების დონე.

მასწავლებელთა საქმიანობისა და პროფესიული განვითარების ეფექტიანობის ასამაღლებლად მნიშვნელოვანია მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამების და მეთოდიკური რესურსების განვითარება, თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. მეორე მხრივ,

საჭიროა, ახალგაზრდა კადრების მოზიდვის და შენარჩუნების ეფექტიანი მექანიზმების შექმნა და ამ მიზნით უნივერსიტეტებთან და სხვა პროფესიული განვითარების ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

საქართველოში მასწავლებლობა არ არის პოპულარული პროფესია. აბიტურიენტების უმრავლესობა, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებელთა მოსამზადებელ საგანმანათლებლო პროგრამებს ირჩევენ, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ყველაზე დაბალ ქულას აგროვებენ. მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟის ამაღლება პროფესიაში მცოდნე და მომზადებული კადრების შემოდინებას შეუწყობს ხელს. უნივერსიტეტებსა და სკოლებს შორის თანამშრომლობის განვითარება მაღალი პროფესიული კომპეტენციების ახალგაზრდა კადრების სკოლებში შემოსვლის ერთ-ერთ მექანიზმად განიხილება.

მასწავლებელთა მოქმედი კორპუსის საშუალო ასაკი თვალსაჩინოს ხდის, ახალი კადრების მომზადების მიმართულებით მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით პედაგოგების სიჭარება მასწავლებელი-მოსწავლის მაღლიან დაბალი 1/8 თანაფარდობის ფონზე (ევროკავშირში ეს მაჩვენებელი არის საშუალოდ 1/20), მცირევონტიგენტიანი სკოლები და არაქართულებროვანი სკოლები განსაკუთრებით განიცდიან პედაგოგების დეფიციტს.

სასკოლო სისტემის წარმატებით ფუნქციონირებისა და დეცენტრალიზებული მართვისათვის აუცილებელია ანგარიშვალდებულებისა და მხარდაჭერის მექანიზმების განვითარება. დღეისათვის საგანმანათლებლო რესურსცენტრი სათანადოდ ვერ ასრულებს სკოლის განვითარებისა და ხელშეწყობის ფუნქციას. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს და განვითარებას საჭიროებს მმართველობის მრავალ ასპექტში, არ ეფუძნება მონაცემთა ანალიზს, არ არის ორიენტირებული საჭიროების შესაბამისი დიფერენცირებული მექანიზმების გამოყენებაზე. იკვეთება საჭირო რესურსების და შესაძლებლობების მქონე სკოლებისთვის ავტონომიის გაზრდის საჭიროება.

განვითარებას და განახლებას საჭიროებს არსებული სასწავლო რესურსები. 2012 წელს სერტიფიცირებული სასკოლო სახელმძღვანელოები კვლავ შეიცავს კულტურული, რელიგიური, გენდერული და ეთნიკური ნიშნით სენსიტიურ ინფორმაციას, ასევე, არადამაკამაყოფილებელია სახელმძღვანელოების შინაარსი და სტრუქტურა. ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის გლობალურ სამყაროსთან ადაპტირების და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციისკენ მისწრაფება მოითხოვს საინფორმაციო ტექნოლოგიების და რესურსების სასწავლო პროცესში მეტად მობილიზებას და ევროპული ენების სწავლების ხარისხის ამაღლებას.

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა სკოლებში პოზიტიური გარემოს შესაქმნელად. 2085-მდე სკოლის სასწავლო პროცესი 3000-ზე მეტი შენობაში მიმდინარეობს. იმის გამო, რომ ზოგადი განათლების ინფრასტრუქტურული პრობლემები შენობების მოვლა-შენახვისა და განახლების ათეული წლების განმავლობაში ყურადღების მიღმა იყო, მათი უმეტესობა მობილურულია და რეაბილიტაციას ან დემონტაჟს საჭიროებს. მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლიდან ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი

სამუშაოებია ჩატარებული: აშენდა 20-ზე მეტი ახალი სკოლა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1500-ზე მეტ სასკოლო შენობას, გამოწვევები დღესაც მასშტაბურია და დროულ რეაგირებას საჭიროებს. სპეციფიურია მცირეკონტიგენტიანი სკოლების ინფრასტრუქტურული პრობლემები. აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად შემუშავებულია ამ ტიპის სკოლების შენობების და შიდა სივრცის მოწყობის ახალი კონცეფცია, რომლის გათვალისწინებით მასშტაბური სამუშაოებია ჩასატარებელი.

### 5.2.2. მიზნები და ამოცანები.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას, რომელსაც აქვს რეალური ცხოვრებისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები, მზად არის აკადემიური, საზოგადოებრივი და შრომითი აქტივობებისთვის, შეუძლია მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა და არის მაღალი პასუხისმგებლობის მქონე აქტიური და კონკურენტუნარიანი მოქალაქე.

ზოგადი განათლების სისტემის სპეციფიკური მიზანია - მოსწავლების მომსვალი ცხოვრებისთვის მომზადების მიზნით მაღალი ხარისხის ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო შედეგების უზრუნველყოფა.

ზოგადი განათლების სისტემის მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი სტრატეგიული ამოცანები:

სტრატეგიული ამოცანა 1. მაღალი ხარისხის ზოგადი განათლების თანაბარი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სტრატეგიის განხორციელების შედეგად ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე განათლების ხარისხი გაუმჯობესდება და უზრუნველყოფილი იქნება თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისათვის, მათ შორის, ეროვნული უმცირესობების, სპეციალური საჭიროებების, სოციალურად დაუცველი, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები და მაღალმთიანი სოფლების მოსწავლეებისთვის. სკოლებთან გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ტრანსპორტირების მომსახურების გაუმჯობესებასთან ერთად, დაიწყებს სწავლების ალტერნატიული მიდგომების შეთავაზებას, როგორც სწავლას ჩამოშორებული მოზარდებისთვის, ასევე, იმ ზრდასრული პირებისთვის, რომელთაც ზოგადი განათლება არ დაუსრულებიათ. სრული ზოგადი განათლების მიღება ხელმისაწვდომი გახდება პროფესიული განათლების დონეზე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ინკლუზიური განათლების შესაძლებლობების განვითარება-გაფართოებას. ზოგადი განათლების მიღების ალტერნატიული შესაძლებლობების გაჩენით, შემოქმედებითი მიდგომებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაციით ქვეყანაში გაიზრდება ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა ყველა სკოლაში.

**სტრატეგიული ამოცანა 2. განათლების ხარისხის გაუმჯობესება** სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობების გაზრდის, მოსწავლეებში სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარებისა და უკეთესი აკადემიური შედეგების მიღწევისათვის.

სწავლა-სწავლების პრიორიტეტი იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესი და აქტიური სწავლების (კვლევაზე და პროექტზე ორიენტირებული) მეთოდების გამოყენება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პოპულარიზაციას, ადამიანის უფლებების სწავლებას და გაზრებას, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების სწავლებას, გლობალური და ციფრული მოქალაქეობის, წიგნიერების (მათ შორის მედია წიგნიერების), ასევე, მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული კომპეტენციების ფორმირებას, ინტერკულტურულ განათლებას, შემოქმედებითი, სამეწარმეო და საბაზისო შრომითი უნარების განვითარებას. გასულ წლებში მიღებული გამოცდილებისა და შედეგების შესაბამისად, გადაიხედება და განვითარდება მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის არსებული მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიერ ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას, როგორც პროფესიული, ასევე აკადემიური განათლების მიმართულებით. სპორტი და ხელოვნება პრიორიტეტული გახდება როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებაში. მხარდაჭერილი იქნება თავისუფალი გაკეთილები და მოსწავლეების აქტიური დასვენება საზაფხულო და ზამთრის ბანაკებში. შენარჩუნდება აქცენტი ევროპული ენების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სწავლებაზე, რაც ზოგადი განათლების თითოეულ საფეხურზე ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მზაობას უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლისთვის. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის განვითარების მიზნით, დაინერგება პროფილური განათლების მოდელი (სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით გაძლიერებული სწავლება). გაუმჯობესდება მიმდინარე და სკოლის დამამთავრებელი შეფასებების მოდელები.

### **სტრატეგიული ამოცანა 3. საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება**

გაძლიერდება ინკლუზიური, უსაფრთხო, თანასწორი, არაძალადობრივი, მაღალი კულტურის მქონე, ჯანსაღი, მამოტივირებელი გარემოს უზრუნველყოფაზე მიმართული ღონისძიებები ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისათვის. სკოლებში მხარდაჭერილი იქნება თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარებისა და მასწავლებლების მიერ გამოცდილების ურთიერთგაზიარების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა მოსწავლეთა უკეთესი აკადემიური მიღწევების უზრუნველყოფის მიზნით. გაფრძელდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარება. ამასთან, მცირე სკოლების შენობები მრავალმხრივ დატვირთვას შეიძლება და მრავალფუნქციურ, კულტურულ-შემოქმედებით, სპორტულ და საგანმანათლებლო ცენტრებად ჩამოყალიბდებიან.

სკოლის ორიენტირი თითოეული მოსწავლის ჰოლისტური აღზრდა-განვითარება და სრულფასოვანი ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბება იქნება. ამ მიზნით გამოყენებული იქნება ყველა შესაძლო რესურსი, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ ფორმატში. სკოლების ბაზაზე გაძლიერდება სპორტული და სახელოვნებო მიმართულებები ბავშვების, მოზარდებისა და ზრდასრულებისთვის. გაიხსნება ბიბლიოთეკები, ლაბორატორიები. რესურსად გამოყენებული

იქნება მუზეუმები, შემოქმედებითი სახელოსნოები, დაცული ტერიტორიები, ისტორიული, კულტურული ძეგლები და სხვა შესაბამისი სივრცეები.

შეიქმნება შესაბამისი პირობები ცხოვრების ჯანსაღი წესისათვის, მათ შორის შემოქმედებითი და სპორტული აქტივობებით, გაუმჯობესებული სამედიცინო მომსახურებით, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების გაუმჯობესებით და უსაფრთხო და ჯანსაღი საკვების უზრუნველყოფით.

**სტრატეგიული ამოცანა 4. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მოტივაციის და ეფექტურობის გაზრდა**

სკოლის მართვის გაუმჯობესებისა და სასწავლო პროცესის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, გაგრძელდება მასწავლებელთა და დირექტორთა მოტივაციის ამაღლების და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამები. დაიხვეწება სისტემაში მასწავლებელთა მოზიდვის, საქმიანობის დაწყების და პროფესიაში შენარჩუნების მექანიზმები. შემუშავდება სკოლის დირექტორებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის საქმიანობის შეფასების, პროფესიული განვითარებისა და წახალისების მექანიზმები. მასწავლებლებში მაღალი მოტივაციის შექმნის მიზნით ხელი შეეწყობა თანამშრომლობას სასწავლო და სამეცნიერო კვლევით უნივერსიტეტებთან, პროფესიულ ასოციაციებთან და სხვა პროფესიულ ორგანიზაციებთან.

**სტრატეგიული ამოცანა 5. ზოგადი განათლების ყველა დონეზე ეფექტური მართვის სისტემის განვითარება**

გაგრძელდება ზოგადი განათლების მართვის სისტემის რეფორმა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გადაიხედება ყველა მისი შემადგენელი რგოლის ფუნქციები. გაძლიერდება საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების მხარდაჭერი როლი სკოლებისათვის, გაიზრდება მათი ფუნქციები სკოლების საქმიანობის შეფასების მიმართულებით. სკოლების მართვა განხორციელდება დიფერენცირებული მიდგომებით, მათი რესურსების, საჭიროებების და შესაძლებლობების შესაბამისად. დაინერგება სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის ახალი შიდა და გარე მექანიზმები და გაუმჯობესდება მხარდაჭერისა და ანგარიშვალდებულების სისტემა ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე. სისტემის გამჭვირვალე მართვის უზრუნველსაყოფად, ამოქმედდება მონაწილეობითი მიდგომა. გადაიხედება სკოლის დაფინანსების მექანიზმები.

### 5.2.3 რისკები

#	აღწერილობა	კატეგორია	ალბათობა	გავლენა	საპასუხო რეაგირება
1.	სასკოლო ინფრასტრუქტურის, ლაბორატორიების, ბიბლიოთეკების გასაუმჯობესებლად და ახალი სასწავლო რესურსების შესამუშავებლად	ფინანსური	საშუალო	მაღალი	სკოლების რეაბილიტაციის, აღჭურვის, რესურსების შემუშავების მიზნით ადგილობრივი ხელისუფლების საერთაშორისო ორგანიზაციების, უნივერსიტეტების, პროფესიული ასოციაციების და კერძო სექტორის ჩართულობა

	ფინანსური რესურსების დეფიციტი				სახელმწიფო დაფინანსების გაზრდა
2.	კვალიფიციური მასწავლებლების დეფიციტი	პოლიტიკური ორგანიზაციული ფინანსური	მაღალი	მაღალი	სტუდენტებისა და პოტენციური ახალგენერაციისათვის მოტივაციისა და ხელშეწყობის პაკეტების შექმნა; მასწავლებლებისათვის განვითარება არაკვალიფიციური მასწავლებლებისა და საპენსიო ასაკის პედაგოგებისათვის პროფესიიდან გასვლის ალტერნატივების მოძრვა
3.	მრავალფეროვანი პროფესიული განვითარების ნაკლებობა	ორგანიზაციული ფინანსური გეოგრაფიული ადამიანური რესურსები	დაბალი	საშუალო	სხვა პროვიციალურთა ჩართვა მასწავლებელთა დასატრენინგებლად ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაზრდის მიზნით სამთავრობო ხარჯების გაზრდა პროფესიულ განვითარებაზე მრავალფეროვანი პროფესიული განვითარების შესაძლებლობების, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების პლატფორმების შექმნა კვალიფიციური პედაგოგების სტიმულირება თანამედროვე საერთაშორისო ტენდენციებთან პროფესიული განვითარების პროგრამების ჰარმონიზაცია
4.					
5.	სკოლის მართვის ყველა მიდგომისადმი ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება ვერ უპასუხებს სკოლების ადგილობრივ საჭიროებებს /კონტექსტს	ორგანიზაციული	საშუალო	საშუალო	სასკოლო მმართველობის დიფერენცირებული მიდგომა
6.	საზოგადოების და მშობლების მხრიდან ნდობის დაბალი ხარისხი სკოლების მიმართ	სოციალური კულტურული	საშუალო	საშუალო	განათლების ხარისხისა და მოსწავლეთა მოსწრების გაზრდა ანგარიშვალდებულების ამაღლება გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობის უზრუნველყოფა

## 5.3 პროფესიული განათლება

### 5.3.1 არსებული ვითარების მიმოხილვა და ძირითადი გამოწვევები

პროფესიული განათლების სფერო რეგულირდება პარლამენტის მიერ 2007 წელს მიღებული კანონით „პროფესიული განათლების შესახებ“. ამასთან, პროფესიული განათლების სფეროში საქართველოს მთავრობის ახალი ინიციატივები და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, დღის წესრიგში აყენებს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის საკითხს. მომზადებულია პროფესიული განათლების შესახებ კანონპროექტი, რომელიც ერთი მხრივ, ეფუძნება ადგილობრივ კონტექსტს, ხოლო მეორე მხრივ, პასუხობს იმ გამოწვევებს, რომლებიც კოპენჰაგენის პროცესთან და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადობის მიმართულებით არსებობს. ამასთანავე კანონპროექტი მყარ საფუძველს ქმნის პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის ჩართულობისთვის.

თანამედროვე სამყაროში პროფესიული განათლება აღარ განიხილება, როგორც ვიწრო პროფესიული ცოდნისა და უნარების განმავითარებელი სფერო, არამედ როგორც ცხოვრების მანძილზე სწავლის, თვითრეალიზაციის, სოციალური კეთილდღეობის, დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშემწყობი სისტემა. სწორედ აღნიშნულ მიღვომას ეფუძნება ევროპაში 2002 წელს მიღებული დეკლარაცია „პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში ევროპული თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ“ (კოპენჰაგენის დეკლარაცია). აღნიშნული დეკლარაციის მიღებით დაიწყო ე.წ. „კოპენჰაგენის პროცესი“, რომლითაც ევროპის სივრცეში მყოფმა ქვეყნებმა შექმნეს ურთიერთთავსებადი, საერთო ღირებულებებსა და მიღვომებზე დაფუძნებული პროფესიული განათლების სისტემები.

2013 წელს, ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერით, მომზადდა პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-2020 წლებისათვის. სტრატეგიაში ასახულია საქართველოს მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები და ჩამოყალიბებულია მიზნები, რომელთა განხორციელებამ კონკრეტული სამოქმედო გეგმის მიხედვით, ხელი უნდა შეუწყოს ადამიანური რესურსების მდგრად განვითარებას, შესაძლებლობებისა და პოტენციალის განვითარებას, დასაქმების, თვითდასაქმების, თვითრეალიზების შესაძლებლობას და შრომის ბაზრის ამჟამინდელი თუ სამომავლო მოთხოვნების დაკმაყოფილებით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის შემცირებას. 2013 წელსვე ხელი მოეწერა შეთანხმებას ევროკავშირის წარმომადგენლობასთან და დაიწყო ტექნიკური და საბიუჯეტო პროექტების განხორციელება პროფესიული განათლების სისტემური რეფორმის მხარდასაჭერად. ამასთან, საქართველო აქტიურად ჩაერთო „ტურინის პროცესში“, რომლის მიზანია მტკიცებულებებზე დაყრდნობითა და დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობით პროფესიული განათლების პოლიტიკისა და პრაქტიკის ანალიზი. ამ პროცესში მონაწილეობით საქართველოს შესაძლებლობა აქვს, ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებას გაუზიაროს პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის პროგრესი, ამავდროულად, გაეცნოს სხვა ქვეყნების გამოცდილებას და მიზანმიმართული რეფორმების მეშვეობით, ყოველწლიურად გააუმჯობესოს შედეგები პროფესიული განათლების ზარისხის, ხელმისაწვდომობისა და პარტნიორული ურთიერთობების განვითარების კუთხით.

ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა პროფესიული განათლების მართვის გაუმჯობესების მიმართულებით, მათ შორის, პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობისა და კერძო სექტორის მონაწილეობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით. განახლდა ეროვნული პროფესიული საბჭოსა და დარგობრივი საბჭოების შემადგენლობა, შემუშავდა საჯარო-კერძო პარტნიორობის კონცეფცია, დამსაქმებლები უშუალოდ ჩართვნენ პროფესიული სტანდარტების შემუშავების პროცესში, დამსაქმებლებით დაკომპლექტებული დარგობრივი საბჭოები კი უზრუნველყოფენ პროფესიული სტანდარტებისა და პროგრამების ვალიდაციას, დაიწყო სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ე.წ. დუალური პროგრამების პილოტირება, რომლის ფარგლებში კერძო კომპანია და საგანმანათლებლო დაწესებულება ერთობლივად ახორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამებს. თუმცა, სისტემაში კვლავ გამოწვევად რჩება კერძო სექტორის არასაკმარისი მონაწილეობა პროფესიული განათლების სისტემის მართვასა და ხარისხის გაუმჯობესებაში.

ბოლო წლებში განხორციელდა არაერთი აქტივობა პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის გაზრდის მიზნით. აქტიურად დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმა. აქტივობები შეეხო ხარისხის უზრუნველყოფის როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმებს, ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაუმჯობესებას. რეფორმის ფარგლებში ეტაპობრივად ხორციელდება მოქნილი, კომპეტენციებზე დაფუძნებული, მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, რომელიც შემუშავდა დამსაქმებლების აქტიური ჩართულობით. გაძლიერდა პრაქტიკული სწავლება და სამეწარმეო განათლების კომპონენტი. მეწარმეობა საგანმანათლებლო პროგრამების სავალდებულო მოდული გახდა. თუმცა კვლავ გამოწვევად რჩება მეწარმეობის პრაქტიკული სწავლების კომპონენტი და ასევე, სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა სამეწარმეო იდეების მხარდაჭერის მექანიზმები. 2016 წლს დაიწყო “სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების” კონცეფციის პილოტირება. ამავე წლიდან ინერგება დუალური საგანმანათლებლო პროგრამები, რამაც საშუალოვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობები. დუალური პროგრამების დანერგვასთან ერთად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მათი ხარისხის უზრუნველყოფა.

მიუხედავად წინგადადგმული ნაბიჯებისა, პროფესიული განათლების ხარისხი კვლავ გამოწვევად რჩება. პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებას კომპლექსური და სისტემური მიდგომა სჭირდება, რაც მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის ახალი ჩარჩოსა და მექანიზმების დანერგვას სწავლება-შეფასებისა და კვალიფიკაციების მინიჭების პროცესში.

გამომდინარე იქმდან, რომ თანამედროვე შრომის ბაზარი კომპლექსური, პიროვნული და პროფესიული უნარების მქონე კადრს ითხოვს, პროფესიული სტანდარტები საქართველოში სექტორის, პროფესიისა და სამუშაოს ანალიზის საფუძველზე, სტანდარტული მეთოდოლოგიის გამოყენებით მუშავდება, სადაც წამყვანი როლი დამსაქმებლებსა და შესაბამისი დარგის სპეციალისტებს ენიჭებათ. ამასთან, ინერგება მოქნილი, კომპეტენციებზე დაფუძნებული, მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები. ამ ხედვაში ერთ-ერთი მთავარი სიახლეა ის, რომ მოდულურ პროგრამებში აქცენტები კეთდება არა მხოლოდ პროფესიული უნარების (ხელობის, პროფესიის შესწავლა) განვითარებაზე, არამედ საბაზო (წიგნიერება, მათემატიკური უნარები და სხვ.) და საკვანძო უნარების (მეწარმეობა, უცხო ენაზე კომუნიკაცია, ციფრული კომპეტენციები და სხვ.) განვითარებაზე. მოდულებისგან შედგენილი საგანმანათლებლო პროგრამა კარგ საფუძველს ქმნის ზრდასრულთა სწავლებისათვის, რადგან საშუალებას მისცემს ზრდასრულებს, უკვე

მოღებული განათლების გათვალისწინებით, ცალკეული მოდულების გავლით აიმაღლონ კვალიფიკაცია ან დაეუფლონ მომიჯნავე პროფესიას. ამგვარად სისტემა მოახერხებს სწრაფად უპასუხოს შრომის ბაზრის ცვალებად მოთხოვნებს და მოკლე დროში გადაამზადოს კერძო სექტორისთვის საჭირო კადრები.

2014 წლიდან სისტემატურად ტარდება პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა კვლევა (ეწ Tracer Study); მზარდია კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და თვითდასაქმების მაჩვენებელი, თუმცა, შესაბამისობის თვალსაზრისით, კვლავ არსებობს გამოწვევები: დამსაქმებლები ნაკლებად ენდობიან პროფესიულ კვალიფიკაციებს. პროფესიული განათლების სისტემა დგას გამოწვევის წინაშე, სწრაფად და ეფექტურად უპასუხოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დაწერგვასთან ერთად დაიწყო სწავლება-შეფასების ხარისხის გაუმჯობესება და მასწავლებელთა შესაძლებლობების განვითარება. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ პროფესიული მასწავლებლის საათობრივი ანაზღაურება 3,75 დან 8 ლარამდე გაიზარდა, პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესია კვლავ ნაკლებად პრესტიულია. დაბალია პროფესიაში ახალი კადრების შემოდინების მაჩვენებელი. აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ, შემუშავებულია პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ახალი მოდელი, რომლის ამოქმედებაც უზრუნველყოფს სისტემაში ახალი კადრების შემოდინებისა და არსებული კადრების სისტემურ განვითარებას.

გაუმჯობესდა პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა, რასაც ცხადყოფს პროფესიულ განათლებაში ჩარიცხული სტუდენტების მზარდი მაჩვენებელი: 2013 წელი - 8396 სტუდენტი, 2014 წელი - 9910 სტუდენტი, 2015 წელი - 10 273 სტუდენტი, 2016 წელი - 11 651 სტუდენტი. 2013 წლიდან სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. დაარსდა ახალი კოლეჯები/ფილიალები, განახლდა კოლეჯების სასწავლო კორპუსები/საერთო საცხოვრებლები და ინფრასტრუქტურა ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით და ადაპტირდა საგანმანათლებლო რესურსები შშმ და სსსმ პირებისათვის. ეროვნულ უმცირესობებს შესაძლებლობა აქვთ პროფესიული ტესტირება მშობლიურ ენაზე ჩააბარონ. დაიწერგა პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის ალტერნატიული პროცედურები შშმ და სსსმ პირებისათვის. დაიწყო მოკლევადიანი პროფესიული კურსების განხორციელება სამუშაოს მაძიებელთათვის, მსჯავრდებულთა და ყოფილი პატიმრებისთვის. საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში 2015 წლიდან დაფუძნდა შემდეგი ოთხი პროფესიული სასწავლებელი/ცენტრი: თბილისის სარკინიგზო კოლეჯი - სს „საქართველოს რკინიგზასთან“ პარტნიორობით; გუდაურის სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა; საქართველოს ტექნიკური გადამზადების ცენტრი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სპ-ის მონაწილეობით; სამშენებლო მიმართულების კოლეჯი „კონსტრუქტ2“ ზესტაფონში - სამშენებლო კომპანია M2 - თანამშრომლობით.

განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით კვლევ არსებობს გამოწვევები. პროფესიული განათლების სისტემა უნდა გახდეს მორგებული ყველა ასაკობრივი და სოციალური ჯგუფის საჭიროებზე. ნაკლებად მოქნილია სისტემა ზრდასრულთა საგანმანათლებლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ლიმიტირებულია მომზადება-გადამზადების სერვისები; სისტემისათვის კვლავ გამოწვევად რჩება ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი პირების პროფესიული განათლებაში ჩართულობა; ნაკლებად არის გამოყენებული დისტანციული სტანდარტული სწავლების შესაძლებლები და სხვა.

სფეროში გამოწვევად რჩება პროფესიული განათლების არაპოპულარობა მოსახლეობას შორის. ვინაიდან პროფესიული განათლება უმაღლეს განათლებასთან შედარებით მეორეხარისხოვან აღტერნატივად განიხილება. მისი პოპულარზაციის მიზნით განხორციელებული აქტივობების (ეროვნული შეჯიბრებების ორგანიზება და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა, პროფესიული განათლების ფესტივალი, გამოფენები, ვებ-პორტალი - [www.vet.ge](http://www.vet.ge), სარეკლამო კამპანია) შედეგად მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ დადებითად შეიცვლება, თუმცა ეს ნელი პროცესია. მიუხედავად არაერთი აქტივობისა, პროფესიული განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული აქტივობები ხშირად არასისტემურია. ასევე, გამოწვევად რჩება ქვეყანაში პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მექანიზმების გაუმართაობა. შესაქმნელია დარგობრივი განათლების პოლიტიკის განვითარებისა და კოორდინაციის მექანიზმები.

საზოგადოებაში პროფესიული განათლების პოპულარობას ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ არ არსებობს სტრუქტურული და შინაარსობრივი კავშირები პროფესიულ განათლებასა და განათლების სხვა დონეებს შორის, რაც ქმნის ე.წ. „საგანმანთლებლო ჩიხს“. განსაკუთრებით პრობლემურია საბაზო განათლების მქონე პირისათვის პროფესიული განათლებიდან უმაღლესი განათლების საფეხურზე გადასვლა. ასევე, არ არის დანერგილი კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემა, რის გამოც ვერ ხერხდება პროფესიულ განათლებაში მიღებული ცოდნის უმაღლესი განათლების საფეხურზე აღიარება. გარდა აღნიშნულისა, კვლავ პრობლემად რჩება არაფორმალურ გარემოში მიღებული ცოდნისა და უნარების აღიარების საკითხი.

### 5.3.2 მიზნები და ამოცანები

პროფესიული განათლების სპეციფიკური მიზანია: ქვეყნის სოციო-კუნძომიკური განვითარების მხარდასჭერად პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გაზრდა, მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა პროფესიული და ზოგადი უნარების განვითარების გზით.

პროფესიული განათლების მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი სტრატეგიული ამოცანები:

**სტრატეგიული ამოცანა 1. პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა და სისტემის ინტერნაციონალიზაცია**

მნიშვნელოვანია სოციალური პარტნიორების, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირების, როგორც თანასწორი პარტნიორების ჩართვა პროფესიული განათლების პოლიტიკის ჩამოყალიბების, პროფესიული კვალიფიკაციის ფორმირებისა და კვალიფიკაციების მინიჭების პროცესებში. დამსაქმებლებს უნდა ჰქონდეთ იმის განცდა, რომ არსებითი როლი და პასუხისმგებლობა აკისრიათ სისტემის წარმატებულ ფუნქციონირებაში, რაც უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ დამსაქმებლებმა მიიღონ შრომის ბაზრის შესაბამისად მომზადებული, კომპეტენტური კადრები (რაც ხელს შეუწყობს საწარმოების განვითარებას), ხოლო კურსდამთავრებულები გრძელვადიანად დასაქმდნენ კარგად ანაზღაურებად პოზიციებზე. ამისათვის არსებითა ეროვნული პროფესიული საბჭოს, დარგობრივი

საბჭოების, სასწავლებლების სამეთვალყურეო საბჭოების, პროფესიული განათლების განვითარების პროცესებში აქტიური მონაწილეობის მექანიზმების დანერგვა და სოციალური პარტნიორების შესაძლებლობების გაძლიერება.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან რეფერენსირება და საქართველოში არსებული კვალიფიკაციების სისტემის დახლოება ევროპულ სისტემასთან უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ინტერნაციონალიზაციის უზრუნველსაყოფად; კვალიფიკაციების ფორმირებისას განსაკუთრებით საგულისხმოა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციებისა და სტანდარტების გათვალისწინება, რათა არ შეექმნას საფრთხე სამუშაო ძალის მობილობას და ადამიანური კაპიტალის განვითარება საერთაშორისო ტენდენციების შესაბამისად წარიმართოს.

თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სტუდენტს ესაჭიროება კომპლექსური, პიროვნული და პროფესიული უნარების განვითარება, რომლის მიღწევაც შესაძლებელია შრომის ბაზრის ამჟამინდელი და სამომავლო მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციების განვითარებით. მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამებით, პროფესიული და ზოგადი უნარების განვითარებით, სამეცნიერო განათლების ხელშეწყობით, ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებით, ინოვაციური სწავლების მეთოდებით, შემოქმედებითი მიღვომებისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით. პროფესიული განათლება უნდა გახდეს მოსახლეობის დასაქმების ხელშემწყობი, მიმზიდველი საგანმანათლებლო აღტერნატივა. აღნიშნული მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საუკეთესო ინსტრუმენტია სამუშაოზე დაფუძნებული/დუალური განათლება, რომელიც მაქსიმალურად იქნება ხელშეწყობილი და წახალისებული.

საგანმანათლებლო პროგრამების მოქნილობის უზრუნველსაყოფად, სწავლის შედეგებზე ორიენტირებული, მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები მუშავდება დამსაქმებელთა ჩართულობით. ამასთან, მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტი მონიტორინგი და ცვლილებების სწრაფად ასახვა მთელს საგანმანათლებლო ქსელში, განსაკუთრებით იქ სადაც თანამედროვე ტექნოლოგიები სწრაფად ვითარდება და იცვლება. ამ პროცესს თან უნდა ახლდეს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების არსებობა, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს მინიჭებული კვალიფიკაციების ერთგვაროვნებას, გამჭვირვალობას და ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება წარმოადგენს ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდების უმნიშვნელოვანეს ასპექტს. ინდუსტრიის განვითარების და ტექნოლოგიური მიღწევების პარალელურად, ჩნდება ახალი უნარების შეძენის აუცილებლობა, შესაბამისად, მუდმივად ცვალებადი გარემო მოითხოვს მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებას და სწავლების პროცესში თანამედროვე მიღვომების გამოყენებას. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს უკვე არსებული პედაგოგების პროფესიული განვითარების საჭიროებას და უნდა იყოს მიმზიდველი ახალგაზრდა პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის.

**სტრატეგიული ამოცანა 2: მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე დაფუძნებული პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და მიმზიდველობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ე.წ „საგანმანათლებლო ჩიხების“ აღმოფხვრა, რაც ხელს უშლის სტუდენტების გადასვლას განათლების ზედა საფეხურებზე. ამგვარი ბარიერების აღმოფხვრით შესაძლებელია პროფესიული განათლების ერთიან სისტემასთან ინტეგრირება და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის კონცეფციის რეალიზება. პროფესიული განათლება უნდა განიხილებოდეს არა როგორც მოწყვეტილი, განცალკევებული განათლების სისტემა, არამედ როგორც განათლების ერთიანი სისტემის ნაწილი. ზოგადი განათლების პროფესიულ განათლებასთან ინტეგრირებით სტუდენტებს, რომლებიც საბაზო განათლების საფუძველზე მიიღებენ პროფესიულ განათლებას, აკადემიური განათლების საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა მიეცემათ. ამასთან, შესაძლებელი გახდება პროფესიული განათლების საფეხურზე დაგროვილი კრედიტების უმაღლესი განათლების საფეხურზე აღიარება.

მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს მოქნილი მიდგომა, რომელიც დააკმაყოფილებს როგორც სკოლის მოწავლეების, მოზარდების, ასევე, ზრდასრულების საჭიროებებს. მნიშვნელოვანია სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების, როგორიცაა შშმ, სსმ პირების, ეროვნული უმცირესობების, დევნილების, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის და სხვა საჭიროებების გათვალისწინება. მოკლევადიანი რეალურული კურსები ხელმისაწვდომი უნდა გახდეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა (სკოლებში, კოლეჯებში, უნივერსიტეტებში) და კომპანიებში.

ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული კომპეტენციების აღიარების შესაძლებლობის შექმნას და არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის ჩამოყალიბებას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს კომპეტენციების გაუმჯობესებას და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას. ეს განსაკუთრებით ეხება დაბალკვალიფიციურ კადრებს, უმუშევარ მოსახლეობას და პირებს, რომელთაც მოუწიათ სწავლის მიტოვება კვალიფიკაციის მიღების გარეშე.

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მომავალი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია დაფინანსების ეფექტური მექანიზმების შემუშავება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კერძო სექტორის მოტივირება, რამაც პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოვებას უნდა შეუწყოს ხელი. საჭირო იქნება დაფინანსების ეფექტური მოდელის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს დაფინანსების წყაროების გაფართოებას, ფონდების გენერირებას, კერძო სექტორის ჩართულობას, უზრუნველყოფს დაფინანსების ეფექტურ განაწილებას ინსტიტუტებს, დისციპლინებსა და პროგრამებს შორის და ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების ეფექტიან მართვას.

სამინისტრო ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულებების ოპტიმალური ქსელის ჩამოყალიბებას, რომელიც გააერთიანებს ხარისხიანი რესურსებით, შრომის ბაზრის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით აღჭურვილ დაწესებულებებს. გადაისინჯება საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საკითხები და გაუმჯობესდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მენეჯმენტი.

**სტრატეგიული ამოცანა 3: პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და მიმზიდველობის გაზრდა;**

მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების სტატუსისა და იმიჯის გაუმჯობესება, მისი რებრენდირება, რომელიც ზოგად და უმაღლეს განათლებასთან შედარებით მეორეხარისხოვნად განიხილება. პროფესიული განათლება უნდა გახდეს პირის კარიერული განვითარების რეალური, პრესტიჟული და ღირებული გზა.

პროფესიული განათლების სისტემამ სტუდენტებს აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი ყველა ეტაპზე: სწავლის დაწყებამდე, სწავლის პროცესში და სწავლის დასრულების შემდეგაც. ვინაიდან კარიერული განვითარებისა და პროფორიენტაციის სისტემა საკმაოდ სუსტია, კარიერული განვითარებისა და პროფორიენტაციის სერვისების გაძლიერება სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ეს პროცესი სტუდენტის მახასიათებლების, მოტივაციისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს; სტუდენტებმა უნდა მიიღონ ინფორმაცია როგორც მათი დასაქმების, ასავე შემდგომი განათლებისა და კარიერული განვითარების პერსპექტივების შესახებ.

პროფესიული განათლების პოპულარობისა და მიმზიდველობის გასაზრდელად მუშაობა რამდენიმე მიმართულებით წარიმართება, როგორიცაა: პროფესიული სტუდენტების წარმატებით დასაქმების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ცნობიერების ამაღლების კამპანიების მოწყობა პროფესიული განათლების პერსპექტივებისა და უპირატესობის შესახებ, ეფექტური პროფესიული ორიენტაციისა და კონსულტაციის სისტემის ჩამოყალიბება, სისტემის მოქნილობისა და გამტარიანობის გაუმჯობესება და სხვა.

პროფესიული განათლების შესახებ ინფორმაციის ეფექტურად გავრცელება ინფორმირების, ცნობიერების ამაღლებისა და გააზრების წინაპირობაა. ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების მიზანი უნდა იყოს როგორც სამიზნე ჯგუფების ინფორმირება, ასევე პროფესიული განათლების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების შეცვლა.

პროფესიული განათლების ახალი ბრენდის შექმნითა და საკომუნიკაციო სტრატეგიის განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოების ცნობიერების ამაღლება იმ სარგებლიანობის შესახებ, რომელიც პროფესიულ განათლებას შეუძლია მოუტანოს საზოგადოების ნებისმიერ წევრს, განურჩევლად მისი სტატუსის თუ შესაძლებლობისა. მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობის შექმნით და პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გამართული სერვისის მიწოდებით უზრუნველყოფილი იქნება ინდივიდის პიროვნული თუ პროფესიული ინტერესების შესაბამისი განვითარება, საქმიან საზოგადოებაში ღირსეული როლის დასაკავებლად.

### 5.3.3 რისკები

#	აღწერილობა	კატეგორია	ალბათობა	გავლენა	საპასუხო რეაგირება
1	პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის და კანონქვემდებარე	• პოლიტიკური	დაბალი	მაღალი	გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან აქტიური კონსულტაციები, დაინტერესებული

	აქტების მიღების/ამოქმედების შეფერხება				მხარეების მუდმივი ინფორმირება, საკითხის ლობირება შესაბამის ინსტიტუციებთან
2	ფინანსური რესურსების ნაკლებობა, გამოწვეული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების შეფერხებით ან საერთაშორისო დახმარების შემცირებით	• ფინანსური	საშუალო	მაღალი	რესურსების მობილიზება პროფესიული განათლების სახელმწიფო დაფინანსების ეფექტურად დახარჯვის გზით, კერძო სექტორის ჩართვა პროფესიული განათლების სფეროში, დონორების მოძიება
3	პრიორიტეტების შეცლა ეროვნულ თუ სექტორულ დონეზე	• პოლიტიკური	დაბალი	მაღალი	კერძო სექტორის, მასწავლებლებისა და საზოგადოებრივი აზრის მობილიზება სტრატეგიის მხარდასაჭირად. ინფორმაციის გავრცელება ბიუჯეტის, ეკონომიკის და შედეგების შესახებ
4	რეფორმირებისადმი რეზისტენტობა გადაწყვეტილების მიმღებთა მხრიდან, განსაკუთრებით დაწესებულებების ადმინისტრაციის დონეზე	• პოლიტიკური; • ადამიანური რესურსები; • ორგანიზაციული	დაბალი	საშუალო	პროფესიული განათლების პირდაპირი ბენეფიციარების როლის გაზრდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრირების და სტრატეგიის დანერგვის პროცესში
5	რეფორმის განხორციელებასა და კოორდინაციაში ჩართული დაწესებულებების შესაძლებლობები	• ადამიანური რესურსები; • ორგანიზაციული	მაღალი	მაღალი	შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებები შესაბამისი რესურსების პირობებში
6	კერძო სექტორის ნაკლები ინტერესი სისტემაში ჩასართავად	• ადამიანური რესურსები; • ორგანიზაციული ლი; • ფინანსური	საშუალო	მაღალი	კერძო სექტორის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები; თანამშრომლობის კონკრეტული შეთავაზებები
7	საზოგადოების ნაკლები ინფორმირება და სტერეოტიპები	• სოციალური • კულტურული	საშუალო	საშუალო	პროფესიული განათლების ბრენდინგი, საინფორმაციო კამპანია
8	ინოვაციისა და ახალი იდეებისადმი	• ადამიანური რესურსები;	საშუალო	საშუალო	საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება,

	რეზისტენტობა	• ორგანიზაციული		მაგ, ევროკავშირის პროფესიული განათლების შესახებ, საერთაშორისო კონკურსები და ა.შ
--	--------------	-----------------	--	---

## 5.4 უმაღლესი განათლება

### 5.4.1 არსებული ვითარების მიმოხილვა და ძირითადი გამოწვევები

უმაღლესი განათლების სფერო რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონებით და სხვა საკანონმდებლო აქტებით და ემყარება საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმით, ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგით, ბოლონიის პროცესისა და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ჩარჩო-დოკუმენტებით ნაკისრ ვალდებულებებს.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. ევროპის უმაღლესი განათლების სივრცესა (EHEA) და კვლევით სივრცეში (ERA) ინტეგრირების, განათლების ხარისხის განვითარების და ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ინტერნაციონალიზაციის მიზნით არაერთი ნაბიჯი იქნა გადადებული: ამოქმედდა უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სისტემა, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS), შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები, შეიქმნა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, გაჩნდა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის შესაძლებლობა.

ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე გადამუშავდა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, ამოქმედდა ბაკალავრიატის პრიორიტეტული მიმართულებების პროგრამული დაფინანსების მექანიზმი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა, უმაღლესი განათლების სისტემაში ახალგაზრდების მოზიდვის მიზნით ამოქმედდა დოქტორანტების დაფინანსების პროგრამები, შეიცვალა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები და კრიტერიუმები და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურები. თუმცა აღნიშნული ცვლილებები საკმარისი არ არის თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ. საჭიროა რეფორმის პროცესში საკანონმდებლო ბაზის გადამუშავება.

დღეისათვის საქართველოში ფუნქციონირებს 75 ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც 140 000-მდე სტუდენტი სწავლობს და დასაქმებულია 13 000-მდე აკადემიური და კვლევითი პერსონალი. მოქმედი კორპუსის საშუალო ასაკი თვალსაჩინოს ხდის, ახალი კადრების მოზიდვისა და მოზიდვის კუთხით მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას. აკადემიური პერსონალის დაბერების პრობლემის სისტემური მოგვარების მიზნით, უმნიშვნელოვანესია სწავლებისა და კვლევის პროცესში ახალი თაობის მოზიდვა.

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა ღიაა არა მხოლოდ ქართული, არამედ საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც. საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებებში 170-მდე უცხოენოვანი პროგრამა მოქმედებს, სადაც 10 000-მდე უცხოელი სტუდენტი სწავლობს.

უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ახორციელებენ ერთობლივი ხარისხის მიმნიჭებელ ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს ეკონომიკის, ბიზნესის, მედიცინის, ჰუმანიტარული, სოციალური, პოლიტიკური, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით, რაც ხელს უწყობს ხარისხის განვითარებას და ზრდის ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის მიმართ ნდობასა და მის ცნობადობას.

შეიქმნა ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი პროგრამა/პლატფორმა „ისწავლე საქართველოში“, რომელიც მიზნად ისახავს ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავების, სტუდენტზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურის განვითარების და უცხოელ სტუდენტთა საქართველოში მოზიდვის ხელშეწყობას.

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის (\$140 მლნ) ფარგლებში 2015 წლიდან სან-დიეგოს უნივერსიტეტი საქართველოში სამი ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს STEM (Science, Technology, Engineering and Mathematics) მიმართულებით. პირველად საქართველოში გაიცემა როგორც ქართული, ისე ამერიკული უნივერსიტეტის დიპლომები.

მიმდინარეობს ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის კამპუსის განვითარება და კურიკულუმის შემუშავება მიუნხენის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, რაც გახდება წარმატების საფუძველი არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ რეგიონულ დონეზე. დაწყებულია თანამშრომლობა საფრანგეთის საელჩოსთან, რის შედეგადაც საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებში ფრანგი პარტნიორების ჩართულობით ორმაგი ხარისხის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავდება. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) თანამშრომლობის ფარგლებში დაგეგმილია მსოფლიო ფედერაციისგან უფლების მოპოვება, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა განახორციელოს სამედიცინო სფეროს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია. შესაბამისად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციისგან აღიარების მოპოვება პირდაპირ უკავშირდება 2023 წლიდან ჩვენი კურსდამთავრებულების სამედიცინო განათლების აღიარებას შეერთებულ შტატებში და მის ფარგლებს გარეთ.

საქართველო აქტიურად არის ჩართული ევროკავშირის პროგრამაში ERASMUS+ და 131 პარტნიორ ქვეყანას შორის მე-8 ადგილს იკავებს წარმატებული პროექტების კუთხით. 2016 წელს ERASMUS+ მობილობის პროგრამებში საქართველომ მოიპოვა 1465 სტიპენდია. 2017 წელს აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა ERASMUS+ პროგრამის ფარგლებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობით. ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით დაფინანსდა 5 პროექტი. კრედიტების მობილობის პროგრამით მოპოვებულია 1333 სტიპენდია (818+515). ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე ERASMUS MUNDUS-ის სტიპენდია მოიპოვა საქართველოს 21 მოქალაქემ.

სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ დაფინანსდა 483 საქართველოს მოქალაქეს სწავლა მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ღონისძიებები მიმართულია სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის საერთაშორისო გამოცდილების მისაღებად, ისინი არ არის საკმარისი სისტემურ დონეზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოსახდენად. შესაბამისად, საჭიროა დამატებითი რესურსები უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის, უცხოელი სტუდენტების მოზიდვის და ქვეყნის რეგიონულ საგანმანათლებლო ცენტრად ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად.

2013 წლიდან სახელმწიფო დანახარჯი უმაღლეს განათლებაზე გაორმაგდა და 2017 წელს 137 მლნ ლარს შეადგენს, რაც მოიცავს სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტებს, სტუდენტთა სოციალურ გრანტებს, სახელმწიფო სტიპენდიებს, ბაკალავრიატის პრიორიტეტული საგანმანათლებლო მიმართულებების და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსებას.

2013 წლიდან 3-ჯერ გაიზარდა სოციალური პროგრამები მოწყვლადი სტუდენტების სწავლის დაფინანსების მიზნით და 2017 წელს შეადგინა 4.5 მლნ ლარი; 2.5-ჯერ გაიზარდა სახელმწიფო სტიპენდიების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტების მხარდაჭერას და შეადგინა 4.1 მლნ ლარი; 2013 წლიდან სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები ზუსტი და საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული, სოციალური, აგრარული, საინჟინრო მეცნიერებების მიმართულებით; ეროვნული უმცირესობებისთვის შემუშავებულია უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე გამარტივებული მიღების და დაფინანსების მექანიზმები; 2013 წლიდან დაახლოებით 60 მლნ ლარი გამოიყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ არსებულმა დაფინანსების სისტემამ პოზიტიური როლი შეასრულა სახელმწიფო რესურსების გამჭვირვალედ და ეფექტურად ხარჯვის თვალსაზრისით, ის მაინც ვერ უზრუნველყოფს სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების წინაპირობას. უმაღლესი განათლების რეალური ხარჯი მეტია, ვიდრე სახელმწიფო დანახარჯი. ყველა ვაუჩერი თანაბარი ღირებულებისაა, მიუხედავად საგანმანათლებლო პროგრამების განსხვავებული რეალური დანახარჯებისა. ამავდროულად, სახელმწიფო უნივერსიტეტებისათვის განსაზღვრულია სწავლების საფასურის ზედა ზღვარი. ვაუჩერი კი უნივერსიტეტების შემოსავლის ძირითადი წყაროა შესაბამისად, ვაუჩერული სისტემა არაერთ უარყოფით შედეგს იწვევს: აყალიბებს მართვის არაჯანსაღ სისტემებს, სრულად მაინც ვერ უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას და არ ქმნის სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობის, იმსტიტუციური განვითარებისთვის აუცილებელ სტაბილურობას. ვითარებას მნიშვნელოვნად ვერ ცვლის ე.წ. პრიორიტეტული პროგრამების დაფინანსებაც. ამდენად, საჭიროა შემუშავებულ იქნეს უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც დაეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას.

ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია განახლებული და ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამები. ხარისხის უზრუნველყოფაში უკანასკნელი ცვლილებების შედეგად შემუშავდა და დამტკიცდა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG 2015) შესაბამისად, რაც მოითხოვს უნივერსიტეტების შეფასებაში საერთაშორისო ექსპერტების, სტუდენტებისა და დამსაქმებლის ჩართვას და მიზნად ისახავს ხარისხის ამაღლებას. განახლების პროცესშია აკრედიტაციის სტანდარტები და დარგობრივი მახასიათებლები, რომლებიც დაეყრდნობა საერთაშორისო გამოცდილებას. ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად სტუდენტები და დამსაქმებლები უკვე ჩართული არიან საქართველოს უნივერსიტეტების უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებაში. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს სწავლის სფეროების კლასიფიკაციის შემუშავებისა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განახლების პროცესი, რის შემდეგაც მოხდება მისი თვითსერტიფიცირება. ახალი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცებისა და განათლების სფეროში ევროკავშირის შესაბამის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან მიახლოვების მიზნით, მიმდინარეობს მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებისას ბოლონიის პროცესის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების, მათ შორის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG) მოთხოვნები.

ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფაა. ამ მიმართულებით საქართველო შემდეგი გამოწვევების წინაშე დგას: წინარე განათლების, მათ შორის უმაღლეს განათლებაში პროფესიული განათლების აღიარებისა და კრედიტების ტრანსფერისთვის გამართული მექანიზმებისა და საკანონმდებლო საფუძვლის არარსებობა; სტუდენტზე ორიენტირებული, მოქნილი საგანმანათლებლო ფორმების არარსებობა (მათ შორის ელექტრონული სწავლება და დისტანციური სწავლება); შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შეუსაბამობა; ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს არაჯეროვანი გამოყენება მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობის მიზნით.

სისტემის ტრანსფორმირების პოზიტიური შედეგებისა და მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, 2017-2021 წლების მიზნები განისაზღვრა იმ საკითხების გათვალისწინებით, რომლებსაც კრიტიკული მნიშვნელობა აქვს უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებისა და მდგრადობის შესანარჩუნებლად.

#### 5.4.2 მიზნები და ამოცანები

უმაღლესი განათლების სპეციფიკური მიზანია უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და ხარისხიანი უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებისა და დასაქმების გაუმჯობესებისათვის.

უმაღლეს განათლებაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ განისაზღვრა სამი სტრატეგიული ამოცანა, რომელიც ორიენტირებულია უმაღლესი განათლების მოდერნიზაციასა და ხარისხზე;

მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობების განვითარებაზე; ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობაზე:

სტრატეგიული ამოცანა 1. უმაღლესი განათლების სისტემის შემდგომი მოდერნიზაცია, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და ხარისხის ამაღლება;

უმაღლესი განათლების მოდერნიზაცია ეხება უმაღლესი განათლების სისტემაში სწავლების და სწავლის რელევანტურობას ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე და უმაღლესი განათლების პროცესში კვლევის როლის განსაზღვრას. უმაღლესი განათლების სისტემა უნდა პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს და შესაბამისობაში უნდა იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ასევე, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაცია ეროვნული სისტემების ნაყოფიერებისა და განვითარების ერთ-ერთი ეფექტური გზაა.

უმაღლესი განათლების მოდერნიზაცია ორგანულადაა დაკავშირებული უმაღლესი განათლების ხარისხთან. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადეკვატური დაფინანსების სისტემას, შედეგზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას და აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმების ინსტიტუციონალიზაციას.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ უმაღლესი განათლება ავითარებდეს იმ კომპეტენციებს, რომლებიც ხელს შეუწყობს პიროვნული განვითარებისა და სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას. შესაბამისად, უმაღლესი განათლების კურიკულუმში უნდა აისახოს დემოკრატიული ღირებულებების, მოქალაქეობრივი თვითშეგნების, პიროვნული თავისუფლებისა და მეწარმეობის განვითარების საკითხების.

სოციალური, პიროვნული და პროფესიული განვითარების პარალელურად, უმაღლესი განათლება უნდა უქმნიდეს ინდივიდუალური დასაქმების შესაძლებლობას, თუმცა რეალობა მკვეთრად განსხვავებულია და საგანმანათლებლო პროგრამები აცდენილია შრომის ბაზრის მოთხოვნებს. მნიშვნელოვანია ჩატარდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის კვლევა, საგანმანათლებლო პროგრამები ორიენტირდეს შრომის ბაზართან, უნივერსიტეტებში გაძლიერდეს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრები.

ასევე, მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში ახალი თაობების მოზიდვა. გარდა ამისა, უნდა გაიზარდოს მრავალფეროვან საგანმანათლებლო რესურსებზე (ბიბლიოთეკის რესურსები, ლაბორატორიები, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ა.შ.) წვდომის უზრუნველყოფა.

სამეცნიერო კვლევაზე დაფუძნებული განათლება მაღალი ხარისხის სწავლებისა და სწავლის ერთ-ერთი ქვაკუთხედია. ახალი ცოდნის შექმნა და გადაცემა, ინოვაციები და ტექნოლოგიები უმაღლესი განათლების დღის წესრიგის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს. სწავლებასა და სწავლასთან სამეცნიერო კვლევების ინტეგრირების ხელშეწყობისათვის საჭიროა როგორც შესაბამისი ინფრასტრუქტურის, ასევე პერსონალის დასაქმების შესაბამისი შიდა პროცედურების დახვეწა.

საგანგებო ზომები უნდა იქნას მიღებული კვლევითი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისათვის (როგორიცაა ლაბორატორიებისა და ბიბლიოთეკების რეაბილიტაცია და დაფუძნება, კომპიუტერებისა და სხვა აპარატურის შემენა, ა.შ.). უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები სრულად უნდა იქნან ინტეგრირებული სწავლებისა და სწავლის პროცესში განათლების სამივე საფეხურზე, განსაკუთრებით დოქტორანტურაში. მნიშვნელოვანია დოქტორანტურის სტუდენტებისა და სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების დაფინანსების გაზრდა და დივერსიფიცირება, ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების ინტერნაციონალიზაცია, ერთობლივი სადოქტორო პროგრამების ხელშეწყობა და სხვა. აუცილებელია დარგობრივი განათლების პოლიტიკის ფორმირებისა და კოორდინაციის მექანიზმების შექმნაც.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ერთობლივ ხარისხებსა და პროგრამებს, როგორც უმაღლესი განათლების ხარისხის უწყვეტი განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის მდგრად მექანიზმს. ასევე, განხორციელდება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშემწყობი ღონისძიებები და პროგრამები. აღნიშნული უზრუნველყოფს საქართველოში ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობას საქართველოს მოქალაქეობის მქონე სტუდენტებისათვის და მოიზიდავს უცხოელ სტუდენტებს, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის რეგიონული საგანმანათლებლო ცენტრად ჩამოყალიბებას.

საუკეთესო სართაშორისო გამოცდილებისა და ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით შემუშავდება უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას, ინსტიტუციურ მდგრადობას და შექმნის სტიმულს შემდგომი ინსტიტუციური განვითარებისათვის, სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მოხდება უმაღლესი განათლების დაფინანსების დივერსიფიცირება და სამართლებრივი რეგულაციები იქნება უმაღლესი განათლების დაფინანსების განახლებულ პოლიტიკასთან შესაბამისობაში, რათა შექმნას დანერგვისათვის ხელსაყრელი გარემო.

